3 სექტემბერი

# კავკასიონი

The KAVKASIONI
© ყოველდღიური გაზეთი № 154 (223)
ფასი 1000 რუბლის
უ/კ კუპონით

## პარლამენტი

# არჩევნების ყველა დეტალი დაზუსტებულია!

29 აგვისტოს მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა ერთგვარად შეანელა საარჩევნო კანონისადმი ინტერესი და იგი თითქოს მეორე პლანზე გადაწია. მიუხედავად ამისა, რიგი დეპუტატებისა, კერძოდ, რესპუბლიკელების მიერ გამოითქვა მოსაზრება (და იგი განხორციელდა კიდეც), რომ დაუშვებელია დროის დაკარგვა და აუცილებელია კანონის სასწრაფოდ მიღება. ჯერ კიდევ აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე სხდომათა დარბაზში დაიწყო მწვავე, მაგრამ კორექტული დებატები ამ მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის გარშემო.

მომავალი არჩევნები, რომლის დროულად ჩატარების აუცილებლობა არაერთგზის აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, კარზეა მომდგარი, მასთან დაკავშირებულ უამრავ საკითხი კი მოგვარებას ითხოვდა: მისაღები იყო კანონპროექტები პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, აგრეთვე დადგენილებათა პროექტები აფხაზეთიდან არჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

თავდაპირველად დეპუტატები პარლამენტის არჩევნების კანონპროექტის „გაცხრილვას“ შეუდგნენ. ვიცე-სპიკერმა რუსუდან ბერიძემ შესთავაზა პარლამენტარებს, იგი გამარტივებული წესით მიეღოთ და ახსნა, რომ დებულებების ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 90 პროცენტი ძველი საარჩევნო კანონიდან არის აღებული. გ. ჭინჭარაულმა აშშ-ის და საფრანგეთის კონსტიტუციების მოშველიებით ცადა „ეთნიკური უმცირესობებისთვის“ (ასეთებად საქართველოში მას მთიანი რეგიონის — ხევის მოსახლეობა მიაჩნია) გარკვეული საარჩევნო პრივილეგიები „დაეცინცლა“, მაგრამ მის ინიციატივას გაგებით მხოლოდ 48 დეპუტატი შეხვდა.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დეპუტატობის კანდიდატად წარდგენისას ბინადრობის ცენზის საკითხმაც. ერთ-ერთი ვარიანტი ასეთ პირობად ითვალისწინებდა საქართველოში ცხოვრების არანაკლებ 10 წელს და საქართველოს მოქალაქეობას, მისი ალტერნატივა უფრო „დამძიმებული“ ჩანდა — საარჩევნო ოლქში ცხოვრების არანაკლებ 5 წელი და ამ მხარეში ცხოვრების აუცილებლობა (ცენზიანი დეპუტატებმა უპირატესობა პირველ ვარიანტს მიანიჭეს).

სხდომათა დარბაზში განსაკუთრებული ვნებათაღელვა მოჰყვა თანამდებობრივი შეთავსების საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მორიგ მცდელობას. ეს თემა თითქმის სამი წელია ფიგურირებს პარლამენტში და მის მოგვარებას აქამდე ვერაფრით დაადგა საშველი. ახლა, როგორც ჩანს, გამოსავალი მოიძებნა და საკითხი საბოლოოდ მოგვარდა — მიღებულია გადაწყვეტილება, რომ დეპუტატი არ შეიძლება ეწეოდეს სხვა სახის საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სახელოვნებო მოღვაწეობისა, თუმცა ასეთი მოღვაწეობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ საქმიანობას (ასათიანი-ქანტურიას რეპლიკა: „საარჩევნო კანონზე კი არ ვმუშაობთ, არამედ იმაზე, თუ როგორი დავკუპოთ ჩვენი თავი პარლამენტში“).

დაძაბულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც ჯერი კენჭისყრაზე დადგა. არანაკლებ სადავო მუხლი, რომლის თანახმადაც „საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ოფიცრები, მოსამართლეები, პროკურორები და მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები არ შეიძლება წარდგენილ იქნენ პარლამენტის წევრობის კანდიდატად, თუ განთავისუფლებულნი არ იქნებიან თანამდებობიდან“.

ამ მეტად დიდი პოლიტიკური დატვირთვის მქონე მუხლმა 106 ხმა მოაგროვა (კვორუმი — 112) და მისი განხილვა შემდეგ სხდომაზეც გაგრძელდა. ხელმეორედ ამ მუხლმა მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა და ზემოთჩამო-

იხ. მე-2 გვერდი



## ჯარისკაცის სევდა

„შვილისთვის განკუთვნილი სიყვარულის წილი ჯარისკაცსაც ეკუთვნის, რადგან ისიც შვილია და საკუთარი მკერდით, სისხლით იცავს სამშობლოს“.

დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ მასალას ბატალიონ „ავაზას“ შესახებ.

## «თუ შენი ჯარი არა გყავს, მაშინ სხვისი ჯარის შენახვა მოგიწევს»...

3 გვ.

## წუთები და მოვლენები

### ბოსნია — ჰერცეგოვინა: დაბომბვები გრძელდება

რადიო „თავისუფლების“ ცნობით, 31 აგვისტოს ნატოს ავიაგამანადგურებლები ინტენსიურად ბომბავდნენ სერბ ქრისტიანთა პოზიციებს. სერბთა სარდალმა გენერალმა ვლადკო ვლადიჩმა განაცხადა, რომ ისანი არ აპირებენ იარაღის დაყრას, მიუხედავად იმისა, რომ უკვე განადგურებულია სერბთა 23 სამხედრო ობიექტი, ტყვია-წამლისა და საჭურვლის საწყობები, საარტილერიო ბატარეები. ვლადიჩის სიტყვებით, მათ ნატოს სამი თვითმფრინავის ჩამოგდება შეძლეს, სხვა წყაროებით კი მხოლოდ ერთი ფრანგული „მირაჟი“ ააფეთქეს. გაეროს მტკიცებით, მათი ხუთი მეთვალყურე, სამი ესპანელი და ორი ირლანდიელი, რომლებიც გუშინდლამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდნენ, სინამდვილეში ქრისტიანმა სერბებმა ჩაიგდეს ტყვედ და ყველა საფუძველი არსებობს ამისთვის, რომ მეთვალყურენი დაჭრილებად ჩაითვალონ. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა მუსლიმან სერბთა მომხრე ქვეყნების რიცხვი და მათ, რაც უნდა საკვირველად მოგვეჩვენოს, ვატიკანიც შეემატა. თუმცა ნატოს საბრძოლო ოპერაციებს კათოლიკური სამყაროს ცენტრის წარმომადგენელმა „ძალის დასაშვები გამოყენება“ უწოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქრისტიან სერბებსაც გამოუჩნდა ერთი პასიური გულშემატკივარი უკრაინის სახით. ამ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ დაგმო ნატოს სამხედრო ოპერაცია ყოფილ იუგოსლავიაში.

### ჩეჩნეთი: „რუსეთი დუდაევის მოკვლას ცდილობს“

განუცხადა საზღვარგარეთის კორესპონდენტებს ჩეჩნეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხოჟაჰმედ იერიხანოვმა. მისი სიტყვებით, რუსეთის მხარე სისტემატურად არღვევს 30 ივლისის შეთანხმებას და ჩეჩენ მებრძოლთა მიერ იარაღის ჩაბარებისა და განადგურების სანაცვლოდ არ გაჰყავს სამხედრო ნაწილები რესპუბლიკიდან. პირიქით, ფედერაციის თვითმფრინავები კვლავ ბომბავენ მშვიდობიან სოფლებს და ყველა ღონეს ხმარობენ ჯოხარ დუდაევის ფიზიკური განადგურებისთვის. მაგრამ ის კი არ იციან, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტის სიკვდილი რესპუბლიკას მშვიდობის ნაცვლად, ძალთა ახალ დაპირისპირებასა და უარეს არეულობას მოუტანს.



## როგორ წავაგე მე-4 ომი

3გ



კავკასიონი



სარედაქციო კოლეგია:
სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორი
მამუკა ფაჩუაშვილი
რედაქტორი
ბაადურ ვეშაპიძე
გივი ბოლოთაშვილი
დავით კახაბერი
შადიმან შამანაძე
ვახტანგ სალია
გულსუნდა ხიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი
მაია ტორაძე

რედაქცია
პოლიტიკა, ინფორმაცია:
ია ანთაძე
დიანა გაბროშვილი
ხათუნა რეხვიაშვილი
მიხეილ კვიციანი
დავით ნინიკაშვილი
ზაზა ფაჩუაშვილი
სპეციალური კორესპონდენტი შიდა ქართლში
გივი ბორცვაძე
„არილი"
რევაზ სირაძე
ირმა არჩუაშვილი
რევაზ გოგია
„თვალსაწიერი"
თეიმურაზ ვაშაძე
ირმა კახნიაშვილი
მაია უკლება
ნათია ფანჯიკიძე
სოსო ბარნაბიშვილი
სპორტი
კახა ფაჩუაშვილი
გოგა კვიციანი
იუმორი
ნინო ხვანიძე
სარეკლამო სააგენტოს დირექტორი
დიმიტრი მოსულიშვილი
ფოტოილუსტრაცია
გიორგი შატბერაშვილი
ტექნიკური დირექტორი
მამუკა ადამია
რედაქციის გამგე
ნატა სურმავა
მთ. ბუღალტერი
ციალა ლომიძე

კომპიუტერული ცენტრის უფროსი
თენგიზ ჭოლოყაშვილი
პროგრამისტი
თამაზ ჩხაიძე
ლალი ჭოლოყაშვილი
ოპერატორები:
თამარ კერესელიძე
ელისო კალმახელიძე
მარი ნიკოლეიშვილი
კორექტორები:
ქეთევან ფოფხაძე
ეთერ ვიბლიანი
მზიულა სირაძე

მისამართი:
თბილისი,
პეტრიაშვილის ქ.№7
ტელეფონი: 29-48-05

პარლამენტი

# არჩევნების ყველა დეტალი დაზუსტებულია!

პირველი გვერდიდან

მოდგენილი სახით დამტკიცდა.

ვიცესპიკერ რუსუდან ბერიძის ინფორმაციის მიხედვით, აფხაზეთიდან ლტოლვილები მონაწილეობას მიიღებენ საპრეზიდენტო არჩევნებში, აგრეთვე საპარლამენტო არჩევნებში — ოღონდ ამ შემთხვევაში მხოლოდ პროპორციული წესით და დასძინა, რომ მოსახლეობის ეს კატეგორია მაჟორიტარული წესით დეპუტატებს „აფხაზეთში ღვთის შეწევნით ჩვენი შესვლის შემდეგ აირჩევს". აქ ქართლოს ღარიბაშვილმა და ოთარ მელქაძემ (პირველმა შეგნებულად, მეორემ კი — უნებლიედ) გათქვეს „საიდუმლო სერობის" — დახურული სხდომის გადაწყვეტილება: ღარიბაშვილის თქმით, „მომავალ პარლამენტში უკვე დაინიშნენ დეპუტატები, რისი გაკეთების უფლებაც პარლამენტარებს არ ჰქონდათო", ხოლო მელქაძემ „დააზუსტა", რომ ეს დეპუტატები აფხაზეთიდან არჩეული პარლამენტარები იყვნენ.

პარლამენტის არჩევის კანონი დეპუტატებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული, როდესაც მომავალმა კანონმდებლებმა ერთმანეთს უკვე „მოუსინჯეს კბილი": აახათიანმა, რომლის თქმითაც „მოქალაქეთა კავშირში მას ბევრი ძველი და ახალი მეგობარი ჰყავს", მათ პოზიციას რიგ საკითხებში აბსურდული უწოდა და „უთანაგრძნო ედუარდ შევარდნაძეს, რომ ასეთ პარტიას უდგას სათავეში". თუმცა მოქალაქეებმაც უჩვენეს „ბრჭყალები" ტრადიციონალისტებს — ლევან მამალაძე ესპანურად მოლაპარაკე ქართველი ბატონიშვილის თემას შეეხო.

ელდარ შენგელაია დაჟინებით ითხოვდა, რომ არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატს მისი უფლებამოსილების ცნობამდე აუცილებლად გაევლო სამედიცინო შემოწმება ფსიქიური და ნარკოლოგიური ხაზით, რასაც რუსუდან ბერიძემ „დრაკონული ნორმა" და „პოლიტიკური შანტაჟის საშუალება" უწოდა, ხოლო „თავისუფალი ქიზიყის შვილმა" — ლუიზა შაკიაშვილმა ორაზროვნად შენიშნა: ვისაც სხვა ჰგონია გიჟი, ის თავად არის ასეთიო. თეიმურაზ სუმბათაშვილმაც ცნობილი კინორეჟისორის ეს წინადადება უკვე მიღებულ კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში „დაიჭირა": „გიჟად ან ნარკომანად რომც სცნოს სათანადო კომისიამ დეპუტატი, მისი გაწვევის უფლება მაინც არა გვაქვსო" და საკუთარი პოზიცია იმით გაამყარა, რომ პარლამენტარის სამედიცინო შემოწმება იმ ათასობით ამომრჩევლის შეურაცხყოფად მიიჩნია, რომლებმაც ხმა მისცეს აღნიშნულ პირვნებას. ამ არგუმენტებმა, როგორც ჩანს, გაჭრა და პარლამენტარებმა ელდარ შენგელაიას წინადადება უარყვეს.

რამდენიმე სადავო მუხლზე „მცირემასშტაბიანი შეტაკების" შემდეგ პარლამენტარებმა მიიღეს პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევის კანონპროექტები. ასე რომ, კონსტიტუციის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ დეპუტატებმა არჩევნების ჩატარებასაც აუნთეს მწვანე შუქი.

მოულოდნელი გართულება მოჰყვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის საკითხს. ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე ორი კანდიდატურა — აკადემიკოსი ივანე კილურაძე და გია ზესაშვილი — დასახელდა. მათ შორის უპირატესობას ბევრი დეპუტატი კილურაძეს ანიჭებდა და ცდილობდა „ყოველ შემთხვევისთვის" მის მიმართ თბილი სიტყვები არ დაეშურებინა, თუმცა, მას შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ მართალია ბ-ნი ივანე უპარტიოა, მაგრამ მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს წევრია, ბევრმა პარლამენტარმა გადაწყვეტილება შეცვალა და ცნობილმა მათემატიკოსმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა. შემდეგ ზესაშვილმა თავისი წარსული — სახალხო ფრონტის წევრობა გაიხსენა და დეპუტატთა თვალში „მისი ავტორიტეტიც დაეცა". ბოლოს მრავალტურიანი კენჭისყრის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ მაინც ივანე კილურაძე აირჩიეს, რასაც ოპოზიციის გარკვეული ნაწილის პროტესტი მოჰყვა „კენჭისყრის დროს პროცედურული დარღვევების გამო".

გადაწყდა, რომ პარლამენტის რიგგარეშე სესიის მორიგი სხდომა რომელიც ჩვენს შეუხორცებელ ჭრილობას — აფხაზეთის თემას მიეძღვნება, მომავალ კვირას გაიმართება.

\+ + +

მიუხედავად იმისა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურული იყო, გუშინდელი სხდომის ბოლოს დარბაზს არავინ ტოვებდა — ინტუიციით ყველა გრძნობდა, რომ შეიძლებოდა ამ დღეს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი რამ მომხდარიყო. ინტრიგას აძლიერებდა ჯაბა იოსელიანის დაჟინებული მოთხოვნა, მისთვის სახელმწიფოს მეთაურის თანდასწრებით მიეცათ სიტყვა. როდესაც „მხედრიონის" ლიდერს სურვილი შეუსრულეს, მან პარლამენტის თავმჯდომარეს „ტრადიციული" ბრალდებები გაუმეორა „მის მიერ უფლებამოსილებების გადამეტების შესახებ".

სახელმწიფოს მეთაური ღრმა დებატებში არ შესულა იოსელიანთან და დელიკატურად შეეცადა თავი აერიდებინა სიტუაციის გამძაფრებისთვის, რამაც ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მძაფრი რეაქცია გამოიწვია. მან ედუარდ შევარდნაძე „ბინძურ თამაშში" დაადანაშაულა, ხოლო მის ოპონენტს „ურჩია" თავისი სურვილით „ჩამჯდარიყო საპყრობილეში" (ასეთმა შეთავაზებამ ბ-ნი ჯაბა საკმაოდ გაამხიარულა).

კვანძის გახსნას ყველა მაინც გენერალური პროკურორის მოადგილის რევაზ ყიფიანის გამოსვლისას ელოდა. ამ უკანასკნელმა დეტალურად ისაუბრა 29 აგვისტოს მოწყობილი ტერორისტული აქტის შემდეგ პარლამენტის შენობაში, კერძოდ „მხედრიონის" ოთახებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგებზე და აღნიშნა, რომ „ამოღებულია" დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერებები და უცხოური ვალუტა.

იოსელიანის განმარტებით, იარაღის ნაწილი მის 28-კაციან დაცვას ეკუთვნოდა, ნაწილი კი „ჩართს" წარმოადგენდა, ხოლო ნარკოტიკული საშუალებები აუცილებლად უნდა ჰქონდეს მაშველთა კორპუსს, როგორც „ტკივილგამაყუჩებელი საშუალება".

გენერალური პროკურორის მოადგილის ცნობით, დღეს, 2 სექტემბერს იგი დაკითხავს „მხედრიონის" ხელმძღვანელს, სახელმწიფოს მეთაურმა კი აღუთქვა ყოფილ თანამებრძოლს, რომ არ დაუშვებს იოტისოდენ უსამართლობასაც კი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ასე რომ, „კვანძის გახსნა", როგორც ყოველთვის, სამომავლოდ გადაიდო.

გია მაჩხანელი

ფაქტები და მოვლენები

ფაქტები და მოვლენები

## სულეიმან დემირელი: „ჩვენ პანისლამისტები არა ვართ"

თქვა ჟურნალისტებთან გამართულ პრეს-კონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტმა. ეს სიტყვები კი უფრო რუსეთის ხელისუფალთა გასაგონად იყო თქმული, ვინაიდან, ამ რამდენიმე ხნის წინ ბიშკეკში გამართულ თურანულენოვანი ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე დაისახა გეგმები ამ რესპუბლიკებს (თურქეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი) შორის ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით უფრო მჭიდრო კონტაქტებისა და თანამშრომლობის შესახებ. ამან კი, როგორც ჩანს, რუსეთის ერთგვარი გაღიზიანება გამოიწვია, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია თურქეთის ხელისუფლებას. თურქეთი შორს დგას ყოველგვარი პანთურული მოძღვრებისგან, რომ არაფერი ვთქვათ ისლამურ ფუნდამენტალიზმზე. ასე რომ, ჩვენი მხრიდან არანაირი ექსპანსია ემუქრება ყოფილი სსრკ-ს თურანულენოვან რესპუბლიკებსო, — თქვა მან.

## საპროტესტო აქცია პეკინში

რადიო „გერმანული ტალღა" იუწყება, რომ ამ დღეებში გაეროს ეგიდით მოქმედმა ქალთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა, რომლებიც ამავდროულად საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშნლის" წევრებიც არიან, მანიფესტაცია მოაწყეს ჩინეთის დედაქალაქში. მათ ხელთ ეპყრათ 12 მანდილოსნის ფოტო, რომლებიც როგორც ირკვევა, პოლიტპატიმრები არიან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფალნი, როგორც ჩანს მოერიდნენ ქვეყნის საერთაშორისო კომპრომეტაციას და ჯერჯერობით წაუყრუეს საპროტესტო აქციას.

## საქართველო-თურქეთის სარკინიგზო მაგისტრალი?!

უნდა ითქვას, რომ ამგვარი გეგმა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის უკანასკნელ მონარქს — ნიკოლაი მეორეს ჰქონდა, მაგრამ „რევოლუციად" წოდებულმა სამხედრო გადატრიალებამ შეუშალა ხელი. რკინიგზას დაახლოებით იგივე მარშრუტი უნდა გაევლო, რაც ამჟამინდელ ბათუმ-ტრაპიზონის საავტომობილო მაგისტრალს. დღეს, როდესაც საქართველოსა და თურქეთს შორის სულ უფრო და უფრო ფართოვდება ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები, დღის წესრიგში კვლავ დადგა სარკინიგზო დამაკავშირებელი მაგისტრალის შექმნის პერსპექტივა. რადიო „თავისუფლების" ცნობით, ორივე რესპუბლიკის სარკინიგზო დეპარტამენტების ხელმძღვანელები უახლოეს ხანებში ეწვევიან ერთურთს და აღნიშნული აქტუალური საკითხის ირგვლივ იმსჯელებენ.

## ინდოეთი: ტერორი სიქჰთა წინააღმდეგ

რადიო „გერმანული ტალღის" ცნობით, ამ დღეებში ინდოეთის ფენჯაბის შტატში ტერორისტებმა საკუთარ ავტომანქანაში ააფეთქეს ადგილობრივი გუბერნატორი ბეაჭ სინგჰი. მკითხველს შევახსენებთ, რომ აღნიშნული რეგიონი ძირითადად სიქჰებით არის დასახლებული და ისინი კარგა ხანია, რაც შტატის დამოუკიდებლობისთვის და მისი ჰალისტანის რესპუბლიკად გარდაქმნისთვის იღწვიან. რაც შეეხება სიქჰებს, ეს ხალხი რაიმე ეთნიკური ან ლინგვისტური ნიშნით არ გამოირჩევა ინდუსებისა და ბენგალიელებისგან, მათი რელიგიაც უფრო პრაგმატული ხასიათისაა. თითქმის მილიარდიან ინდოეთში სიქჰები მოსახლეობის 5 პროცენტს ძლივს შეადგენენ, მაგრამ ამავდროულად, ძირითადი საკვანძო პოსტები ადმინისტრაციულ, სამხედრო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში უმეტესწილად მათ უკავიათ. სიქჰებს ადვილად სცნობენ ინდოეთში, როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული სტუმრებიც, ვინაიდან ისინი, როგორც წესი, წვეროსულვაშს ატარებენ და ცისფერი ჩალმები ახურავთ. რაც შეეხება გვარებს, მათი გვარები ბოლოვდება „სინგჰზე", რაც სანსკრიტულ, ჰინდი, ბენგალიური და ურდუ ენებზე „ლომს" ნიშნავს. სიქჰები შრომისმოყვარე, მხიარული და სტუმართმოყვარე ხალხია. ინდოეთში, სადაც სოციალური კონტრასტები მეტად თვალსაჩინოა, ფაქტობრივად შეუძლებელია იხილოთ ღარიბ-ღატაკი სიქჰი, რადგან ისინი ძალზე აქტიურად ეხმარებიან ერთურთს და სწორედ ამისთვის ვერ იტანენ მათ ინდოეთში სხვა რელიგიური აღმსარებლობის ეროვნებები და მათ მიმართ იმგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ, როგორც ანტისემიტიზმის ნიშნით გამორჩეულ ქვეყნებში ებრაელებისადმი. ზემოთ ნახსენები ტერაქტიც ამის ერთ-ერთი დასტურია.

კავკასიონი

## გასწორება

გასულ შაბათს, „კავკასიონში" გამოქვეყნდა ემზარ კვიტაიშვილის წერილი „რატომ არ მოვედ წვიმადა". ტექნიკური მიზეზების გამო, მეორე და მესამე სვეტებში დაიკარგა რამდენიმე სიტყვა. წინადადებები ასე უნდა იკითხებოდეს: მეორე სვეტში — „... იგი თვალშეუდგამი სიმაღლის ზღაპრულ გოლიათად არის გამოყვანილი, საქართველოს გაუდრეკელ ხერხემალს განასახიერებს".

მესამე სვეტში — „რამდენიც სამგზავროზე წავედით მე და ჩემი კაცი, იმდენი მაყარ-მარჯაკალი გამამიტყვრა, ვისი ქალი ხარო?"



## ირაკლი შავლიაშვილი

იშვიათი ღიმილი და უცებ აღარ...
იშვიათი მწვანე თვალები და უცებ აღარ...
სიტყვები აღარ... შეხება აღარ... ჩამოსვლა აღარ...
ასე აღარ მოდიან მხოლოდ გარდაცვლილები,
ვინაიდან არ შეუძლიათ, ვინაიდან მიწა არ უშვებთ...
შეგრძნება რჩება თითქოს ისევ გვერდითაა, თითქმის ხელის გაწვდენაზე...
მოულოდნელი, ყოველგვარ ადამიანურ ლოგიკას მოკლებული ფაქტი.
გარდაიცვალა ირაკლი შავლიაშვილი — ექიმი, ბურაკოვსკის ხელმძღვანელობით აღზრდილი მეცნიერების კანდიდატი.
ბიზნესმენი, ქველმოქმედი. საქართველოს ნატვრადქცეული აბრეშუმის სავაჭრო გზის აღმდგენი. ყველა ღირსების გამაერთიანებელი, რამაც კი შეიძლება ერთ კაცში თავი მოიყაროს.
გრძელდება მისი თვალები ფიქრში, ღიმილი, სიმღერა.
სულით არისტოკრატი. დახვეწილი.
აბსოლუტურად უშუალო. იმპულსური.
ჩქარი ტემპი. ენერგია. ჩქარი. ჩქარი ყველაფერში დაწყებული სიყვარულიდან, ვერ დატეული ენერგიით.
დარჩა შვილები... ჩქარი სურვილები,
დარჩა მონატრებად ქცეული ქალაქი!
თბილისი... ერთხელ მაინც გადავფრინდებით... ნოსტალგიის ტკივილი, ირაკლი დაიღუპა ვარნაში — ავტოკატასტროფაში,
ყველასთვის ახლობელი, ყველასთვის თავისიანი.
ზოგჯერ პირველად ნახავ ადამიანს და გეჩვენება თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდი. მთელი სიცოცხლე ახლობელი იყო, თითქოს მას ჰქონდა შენი სულის რაღაც ნაწილი მობარებული. ადამიანს კი, რომელსაც სულით ნაწილს მიაბარებ ვერასდროს დაივიწყებ...

რეპორტაჟი

# «თუ შენი ჯარი არა გყავს, მაშინ სხვისი ჯარის შენახვა მოგიწევს»...

ვიწრო, ხვეული გზა რკინის ალაყაფის კართან თავდება. იმის იქით „ავაზას" სამფლობელოა და სამხედრო ნაწილი უცხო პირთა შესვლას კრძალავს. სტუმარს მორიგე მასპინძლობს. დედა-შვილის შეხვედრამდე სულ რამდენიმე წუთი თუ გაივლის.

ალაყაფის კარები დროდადრო იღება და იხურება — შედიან და გამოდიან მანქანები. აქედან, თვალის ერთი შევლებით, ჯარისკაცები ერთნაირ სამხედრო მუნდირებში ერთნაირები ჩანან — მზეში გარუჯულები, ახოვანები და ვაჟკაცურად ლამაზები. ერთნაირად დადიან მწყობრში, ერთნაირი ჟღერადობით წარმოთქვამენ ფრაზას — „ვემსახურები საქართველოს!"

მერე, მოულოდნელად, დედას შვილი გადაეხვევა, მოიკითხავს, ხალისიანად უამბობს ჯარისკაცური ცხოვრების შესახებ და იმასაც ეტყვის, თუ რა „ჩიგარი" ხალილი ჰქონდათ დღეს. ქალს მაინც ბოლომდე არ სჯერა შვილის ნაამბობი — დედაა და თავის საფიქრალს ფიქრობს. მერე ბიჭი ჯარისკაცებით სავსე მანქანას შეახტება და ახლა იქიდან ემშვიდობება მშობელს. ბოლოს და ბოლოს, ახლაღა ელიმება დედას — შვილს მის მიერ გატანებული საჭმელებისგან მხოლოდ ერთი ლუკმაღა შერჩენია ხელში — დანარჩენი ბიჭებს უწილადა, უფრო სწორედ, თავად დაესივნენ და გაინაწილეს. ჩანს, აქ ერთი თხილის გულს „ცხრა კი არა, ლამის ასი ძმა" იყოფს.

ახეა ალაყაფის კარებს მიღმაც — თანატოლები, 18-19 წლისანი, ერთმანეთის გვერდით ლუკმას სულ სხვა გემოს ატანენ.

ლაშა ცხვედიანი: — ჯარი, ჩემი გაგებით, თავდაპირველად უჩვეულო ცხოვრებაში მოხვედრას ნიშნავს. დილის ძილს მიჩვეულ განებივრებულ ბიჭს, ბუნებრივია, გაუჭირდება ადრე ადგომა და ვარჯიში. მაგრამ „ადაპტაციის პერიოდი" მხოლოდ რამდენსამე დღეს გრძელდება. მერე ყველაფერი თავისი გზით მიდის. ჯარს თავისებური ანდამატი აქვს — აგიყოლიებს და შემდეგ ახალწვეულების „სიზარმაცე" სახაცილოდ მოგეჩვენება. ცხოვრებას სხვა აზრი, სხვა შინაარსი ეძლევა, უფრო ვაჟკაცობის, ძლიერების, დამოუკიდებელი ადამიანის ფსიქოლოგია ილვიძებს. სასიხარულოც ბევრია, დღე ისე როგორ გავა, ვილაცამ არ იხუმროს, პირველი დღეების თანმდევი „კურიოზები" არ მოიგონოს. კინოშიც ერთად მივდივართ ხოლმე, მაგრამ ყველაზე მიმზიდველი მაინც ღამეა, დავწვებით და ვსაუბრობთ, მოსაგონებელს ვიგონებთ, ერთმანეთს ვეჩვევით, ძმური სამყარო იქმნება.

ზურაბ ბრიგალაშვილი: — სიხარული მაინც ის იყო, ახლახან რომ განვიცადეთ... თვენახევარი ვიცავდით საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრებს. მთებში ვიდექით. ხშირად გვაკითხავდნენ მწყემსები, ადგილობრივი მოსახლეობა... დავალების შესრულების შემდეგ უკან რომ დავბრუნდით და თბილისი რომ გამოჩნდა, ასე გვეგონა, თითქოს უკვე საკუთარ სახლებში შევაბიჯეთ. მიხარია, რომ „ავაზელებთან" მოვხვდი. ამ ნაწილს მაგარი, მამაცი მებრძოლები ჰყავდა. ბევრი ვაჟკაცურად შეეწირა სამშობლოს. ახლა უკვე ბრძანებას ველოდები, სახლში წასვლის დრო დადგა. უცნაურია, ადრე შინ დაბრუნების მოლოდინი სიხარულს მანიჭებდა, ახლა თითქოს გაორებული ვარ. ძალიან მივეჩვიე ბიჭებს, ჯარისკაცის ცხოვრებას, დამოუკიდებლობას. ადრე სამხედრო მუნდირთან შეგუება მიჭირდა, ახლა კი, არ ვიცი, როგორ მოვირგებ სამოქალაქო ტანსაცმელს.



ბია ბოგოლაძე, ასეულის მეთაურის მოადგილე: — არმიის ჩამოყალიბებას გამოცდილება სჭირდება. ბუნებრივია, ჯერ კიდევ დასახვეწია სწავლების ფორმა, მეთოდი, დამოკიდებულებები. ჯარისკაცი მართალია, როცა ბიბლიოთეკას, ქართულ ენაზე თარგმნილ სამხედრო ლიტერატურას ითხოვს... ვფიქრობ, საშუალო სკოლებში აუცილებლად უნდა ალდგეს სამხედრო სწავლება, მაშინ აქ — სამხედრო ნაწილში 3-4 თვეს უბრალო ჭეშმარიტების შესწავლას კი არა, უფრო სერიოზული, პროფესიული ჩვევების გამომუშავებას დავუთმობთ.

ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ „ავაზაში" რჩეული ბიჭები მოდიან. გასაკეთებელს ერთად ვაკეთებთ, გართობის დროს ერთად ვერთობით, ვსაუბრობთ, ძმურად ვუგებთ ერთმანეთს. ამათთან ერთად მძინავს, ამათთან ერთად ვჭამ, ამ მხრივ ოფიცერი არაფრით განსხვავდება რიგითი ჯარისკაცისგან. ბიჭებს აქ დედ-მამა არა ჰყავთ, ჩვენ ვართ მშობლების როლში, მოგვენდნენ და ასეთივე გრძნობით ვპასუხობთ. თავისუფალ დროს, განსაკუთრებით, შაბათ-კვირას, აფხაზეთის ამბების მოყოლას გვთხოვენ. ძველ „ავაზელებს" ბევრ რაზმს შეიცავს. თითოეული მათგანი ერთად და ცალ-ცალკე ვაჟკაცური პირდაპირობით ცნობილი კაცის პორტრეტს ქმნის.

— რა იყო თქვენთვის პირველი მძიმე განსაცდელი?

— სიკვდილთან თვალის გასწორება. ეს მოხდა სამაჩაბლოში, როცა მძიმედ დავიჭერი გულმკერდის არეში... მაგრამ დედაქალაქში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ისევ შევკრიბე „ავაზელები", ახალი ბიჭებით შევავსე და უმოკლეს დროში უკვე მორიგი დავალების შესასრულებლად ვიყავით მზად.

— ჩანს, ბედი გწყალობდათ.

— იმედი მაქვს, არც მომავალში მიტყუნებს. არ შემიძლია, გაწზე გავუდგე ცხოვრებას და მოვლენებს შორიდან ვუყურო.

— რა აზრის ხართ ომზე?

— ომი, თავისთავად, დიდი ბოროტებაა. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, ალბათ, ამასვე ფიქრობს მაგრამ მაშინ, როდესაც სამშობლოს ტერიტორიას გედავებიან, — აუცილებელია, რომ იომო.

— განგიცდიათ თუ არა სევდა?

— უამრავჯერ, გულგატეხილი კი არასოდეს ვყოფილვარ.

თავს არ ვზოგავდით სოხუმშიც, მაგრამ, როცა უმაღლესი დონის ტექნიკა მოდის ათასი ჯურის გადამთიელებითურთ, როცა სატანური ძალა გეჭიდება, მოზღვავებულ ტალღას მკერდით ვერ შეაჩერებ, თორემ ჩვენი ბიჭები არ გამოქცეულან, ამიტომაც განვიცადეთ ასეთი დიდი დანაკლისი.

სალცარი და უჩვეულო სევდა მაშინ დამეუფლა, როცა აქ — თბილისში სხვანაირი განწყობილება დაგვხვდა. ზოგიერთებმა ვერ გაგვიგეს, ყაჩაღებივით გვიყურებდნენ. მართლაც გამოერევა „თითო ოჯახში თითო მახინჯი", მაგრამ არ შეიძლება სიწმინდეშიც ხინჯი ეძიო, სიმართლეშიც საჩოთიროს ხედავდე და ყველაფერი ერთი საზომით, ერთი არშინით გაზომო. აფხაზეთში დაღუპულ ალალმართალ ბიჭებს, ჩვენს „ავაზელებს" მხოლოდ სამშობლოს ერთიანობა და კეთილდღეობა სურდათ. იმათ სიცოცხლე უნდოდათ და არ დააცალეს, ამიტომ მათ სიწმინდეში ეჭვის შეტანის უფლება არავინ უნდა მისცეს საკუთარ თავს. ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, ვიდეო-მასალები, ვქმნით მუზეუმს და ჩვენი შვილები ნახავენ, — ჰყავდათ თუ არა სამშობლოს ერთგული მამები. ამ სიმართლით ვიარეთ „ავაზელებმა" სამაჩაბლოში, აფხაზეთში — ლესელიძიდან გაგრამდე და ოჩამჩირე-ტამიშის, სოხუმის გზებზე.

\+ + +

ყველაზე ძლიერი სევდა მაშინ დამეუფლა, როცა ტამიშში საუკეთესო ბიჭები დავკარგე. ზურგის გათავისუფლების შემდეგ წინსვლისთვის ემზადები, მაგრამ უცებ ბედი გიმუხთლებს და მტერი უკან რომ მოგეპარება და ლახვარს ჩაგცემს, — გულს შემოასკდები კაცი. გახსოვთ, ალბათ, როგორ გადმოსხეს დესანტი ოჩამჩირეში და რა ტრაგედია დატრიალდა მაშინ. დღესაც მზარავს იქ დაღუპულ ბიჭებზე საუბარი. როცა იცი, როგორ იბრძოდნენ ისინი, როცა იცი მათი მიზნები, სურვილები, განწყობა და გახსოვს ერთად გატარებული დღეები, ლუკმას რომ ვუყოფდით ერთმანეთს, — წარმოიდგინეთ, ტრაგედიის ხილვა რა ძნელია თანამებრძოლთათვის.



მეზე გვტკივა გული, მაგრამ სათქმელიც ხომ საკმაოდ გვაქვს.

\+ + +

თავს ზევით ძალა არ იყო, თორემ ვაჟკაცი ბიჭები გვყავდა. — ამბობენ ძველი „ავაზელები".

თითოეული მათგანის ნაამბობი ადამიანის ბუნებაში დამკვიდრებულ სიკეთის საწყისს წარმოაჩენს. იგი შორს არის გულგატეხილი და ხელჩაქნეული ადამიანის ფსიქოლოგიისგან. მარცხის განცდიდან იწყება უძლეველობა და სულიერი გაუტეხელობა. — ასე ფიქრობს ბატალიონ „ავაზას" მეთაური, პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი. ამ 31 წლის კაცის ბიოგრაფია უამრავ შტრიხს, დეტალსა თუ ეპი-

\+ + +

იცლებოდა სისხლისგან და ისევ იკრებდა ძალებს, ეცემოდა და კვლავ ფეხზე დგებოდა, ერთიანდებოდა... „ავაზა" დღესაც ივსება ნარჩევ-ნარჩევი, ლამაზი და ახოვანი, წარმოსადეგი ბიჭებით. ბატალიონის სახელწოდებაც სიმბოლურია: ძლიერი, სწრაფი, მოქნილი და ლამაზი ცხოველის სახელს ატარებს.

ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი ნაპოლეონის ცნობილ გამონათქვამს იშველიებს: „თუ შენი ჯარი არა გყავს, მაშინ სხვისი ჯარის შენახვა მოგიწევს". „ავაზელთა" თქმით, სხვისკენ მაყურებელთა დრო დამთავრდა. მამაპაპისეულ ადგილ-მამულებს, ჩვენეულ მიწაწყალს ქართული არმია დაიცავს.

ნამდვილი, პროფესიული, გაწვრთნილი არმიის შექმნას დრო სჭირდება. ოპტიმისტური პროგნოზით, ეს პერიოდიც მალე დადგება, ოღონდ, ჯარისკაცს არ უნდა მოშივდეს, არ უნდა შესცივდეს. „ავაზელები" მიიჩნევენ, რომ მზრუნველობა არ აკლიათ. დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, როცა ზოგჯერ შიმშილისგან გულშეღონებული კაცი ქუჩაში ეცემა, ჯარისკაცი თავს მეტის მოთხოვნის უფლებას ვერ მისცემს.

ქართველი ჯარისკაცი დღენიადაგ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნებაზე ფიქრობს. მათ სჯერათ, რომ საქართველო დაიბრუნებს დროებით დაკარგულ ტერიტორიებს და ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი იქნება. მათი თქმით, აფხაზეთშიც გაივლის ქართული ჯარი და სამაჩაბლოშიც, იქაც შეიქმნება ქართული არმიის ბაზები და ჯარისკაცსაც ისეთივე გრძნობით შეიყვარებს ქართველი კაცი, როგორ პატივსაც მიაგებენ სამხედრო მუნდირიანს ისრაელსა და ამერიკაში.

ჯარისკაცს გამვლელმა სიყვარულით სავსე თვალი უნდა გააყოლოს, სითბო და სიყვარული აგრძნობინოს. მან იცის, რატომ აცვია სამხედრო მუნდირი, იცის, რომ სამშობლოს მისგან უსაზღვრო ერთგულება სჭირდება, სანაცვლოდ კი მხოლოდ დაკარგული სიყვარულის აღდგენას ითხოვს.

შეცდომა და დანაშაული მხოლოდ ბოროტებისა და სიავის ჩამდენმა უნდა ზღოს. ერთეულების ცოდვა ასეულებს არ უნდა მოეკითხოს.

შვილისთვის განკუთვნილი სიყვარულის წილი ჯარისკაცსაც ეკუთვნის, რადგან ისიც შვილია და საკუთარი მკერდით, სისხლით იცავს სამშობლოს.

ამგვარ დამოკიდებულებაზე, ამგვარ განწყობილებაზე, ამგვარად მაყურებელ ადამიანებთან შეხვედრაზე ოცნებობს დღეს ქართველი ჯარისკაცი.

ლამარა ესართია

მიხო მორჩილაძე

# როგორ წავაგე ომი...

*"Tu natus-es non tibi,. non mihi, sed patrial"*

(„შენ დაბადებული ხარ არა შენთვის და არა ჩემთვის, არამედ მამულისთვის“)

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ
№137-138-139-141-142-143-145

ტყვეები გერმანიაში ჩარეკეს. მერე ლუტაევა ერთ ფაშისტს მისთხოვდა და ბულგარეთში დასახლდა ომის შემდეგ. თათარაშვილმა კი ჯერ გერმანელების, მერე საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკები მოიარა და მხოლოდ ორმოცდაჩვიდმეტში დაბრუნდა შინ. ჩვენი საზღვრები მისვლა-მოსვლისთვის გაიხსნა თუ არა, ლუტაევამ სოფელ პაკროვკაში მოიკითხა ბავშვები. პაპა ჩერნომორი უკვე მომკვდარიყო, ვინც ბავშვები ოჯახში თავის ახალმოლოგინებულ რძალს მიუყვანა. ტყუპი და-ძმა და მათი დედობილიც სოფელს საბავშვო სახლში გადაეყვანათ. ბიჭი იქ დარჩენილიყო, ლუდას ვერ აეტანა მომვლელი ქალის სადიზმი, გაქცეულიყო და ციგნებს მიკედლებოდა. თექვსმეტი წლისას, მის ახალ მშობლებს რაიონის მილიციის უფროსი დასცემია თავზე გასაძარცვავად. მშობლები დაუხოციათ, ლუდა კვლავ გადარჩენილა, გაქცეულა. ამ ამბების შემდეგ, ლუდა კურსკში დაბრუნდა და ძმა მოიკითხა. არ[illegible] რეს, რომ დედამისი ეძებდა. წერნიმარის ოჯახიდან მათარაც მისცეს. მერე დედასაც შეხვდა, ძმასაც. დედამ უთხრა, რომ მათი მამა აფხაზი ტირკბა იყო. და-ძმა აფხაზეთში ჩამოვიდა. ტირკბა ომში დაღუპულიყო. სამაგიეროდ ტირკბას მამამ და ცოლმა დაკარგული შვილებივით მიიღეს ორივე. მერე კი ლუდამ მათარა გაიხსენა. მათარაზე სამხედრო ნაწილის ნომერი იყო ამოჩხაპნილი და გვარის ნაწილი — „თათარაშ“. ამით გაგრის კომისარიატმა მიხეილ თათარაშვილს მიაგნო. აქვე, საქართველოში, ყვარლის რაიონში, სოფელ ახალსოფელში. და-ძმა უკვე ერთად ცხოვრობდა. მათ თათარაშვილთან შეხვედრა გადაწყვიტეს... ძმა ნიკოლაი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, იგი მოულოდნელად მოკლეს. მერე ლუდა მარტო მაინც ჩავიდა ახალსოფელში და მიხეილ თათარაშვილს თავისი მათარა გადასცა. თათარაშვილებმაც შვილივით მიიღეს ლუდა. ჩავიდნენ გუდაუთაში, სოფელ ლიხნში ტირკბებთან, იმათაც დაემოყვრნენ...

— ტირკბას ცოლმა მაინც როგორ მიგიღოთ-მეთქი, ვკითხე. თუ როგორ მიიღო ფრონტზე სხვა ქალისგან გაჩენილი მისი ქმრის შვილები, — ამ კითხვაზე ქალს ასე უპასუხნია: "Среди людей чужих нет..." და ამით დაუმთავრებია საუბარი. ეს სიტყვები სათაურად დავუდე მე ჩემს კინოსცენარს, რომელიც იმ ღამესვე დავწერე გაგრაში. ფილმის რეჟისორად ჯერ თემო დოლიძე დაამტკიცეს, რომელიც მერე მანუჩარ ყიფიანმა შეცვალა...

ასეა, ხანდახან მართლა საინტერესო რამეებს გიყვებიან. მთავარია, მოსმენის ნიჭი გაგაჩნდეს...

მერე მეც დავუმეგობრდი თათარაშვილებსაც და ტირკბების ოჯახსაც. განსაკუთრებით მიხეილ თათარაშვილის ვაჟიშვილს, ნიკოს. და აი, ნიკო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, სოხუმის აეროპორტში გამომეცხაურა. — ოჯახში კარგადა ვართო, — მითხრა. ისიც დაუმატა, ლუდა ის აღარააო... ბოლო შეხვედრებისას ჩემთან სულ ქართველებს ლანძღავდა, ჩვენს სამტროდაა შემართულიო... ასე გაიყო და-ძმა. ნიკომ სამხედრო ფარაჯა ჩაიცვა სამშობლოს დასაცავად, ლუდა კი ამავე ქვეყნის ქართველებისგან გაწმენდას ლამობდა.

16. 09. 92.
გაგრა. დილა.

შვეულმფრენის აფრენისას გაგრის 102-ე ბატალიონის კიდევ ერთი მებრძოლი ამოვიდა. სამწუხაროდ, მხოლოდ სახელიღა მახსოვს, — დათო. ორი ყუთი ტყვიები ხვნეშით ამოიტანა და ძალზე გაიხარა, შვეულმფრენში ამდენი ყუთი საჭმელი და ტყვია-წამალი რომ დაინახა. სასმელი და ნარკოტიკები იხრად გვაქვს, დანარჩენი ყველაფერი გვაკლიაო!.. თქვა ჯავრიანი წუხილით.

ავფრინდით და პირდაპირ ზღვაზე ალმოვჩნდით. ნაპირიდან კარგა მოშორებული ვიყავით, მაგრამ მაინც გვესროლეს. ზიგზაგებით მივდიოდით, მტრისთვის დამიზნების საშუალება რომ არ მიგვეცა. დავჯექით მარინაშვილის შტაბის წინ, პატარა მოედანზე. ჩამოსვლა არ გვაცალეს, რომ შვეულმფრენში ფუთებით, ტელევიზორებითა და მაგნიტოფონებით დატვირთული მებრძოლები შემოცვივდნენ. ეტყობა, იყნოსეს, რომ გაგრაში აღარ დაედგომებოდათ და ეჩქარებოდათ ნაძარცვით სამშვიდობოს გასვლა...

102-ე ბატალიონის მეთაური სერგო მინაშვილი ცუდ გუნებაზე დაგვხვდა. შტაბის უფროსი მიხეილ გამკაძე დაღუპულიყო. მე კი სწორედ გამკაძისთვის მიმქონდა გადასაცემად: ძმის წერილი — „მიშა გამარჯობა! სახლში მშვიდობაა, ნათიამ არაფერი არ იცის! ყველანი კარგად ვართ. დიჩჯად მოიქეცი. გელოდებით ჯანმრთელს. Удачи! ვარლამი!“ — ეს წერილი, უფრო სწორედ ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ჯიბეში დამრჩა. სერგომ დაღუპულის პირადობის მოწმობაც მომცა. ეს ყველაფერი მერე გამკაძეების ოჯახში მივიტანე. ძმის წერილს გოგი ცაგარელმა ფოტო გადაუღო და უკან რომ დავბრუნდით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნეთ ჩემს წერილთან და გოგის ვრცელ ფოტორეპორტაჟთან ერთად. ჩემს სეხნია მიშა გამყაძეს კარგად ვიცნობდი. ასევე ვიცნობდი მეტყვიამფრქვევე მიხეილ ნოზაძეს და მაიზერასაც. ესენი ერთად დაიღუპნენ 15 სექტემბერს შუადღისას პირველ პიკეტზე სნაიპერის ტყვიით. როდესაც ვარლამი ძმასთან წერილს გვატანდა, ბიჭები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. — ხალხს ველარ ვაჩერებ! — მითხრა სერგომ. — ოცდახუთი კაცი მყავს დაჭრილი, ოთხი გუშინ გარდამეცვალა, თან ამ სასმელმა ხომ ყველას ბოლო მოუღო... ხომ ნახე, რა ამბავია წასვლაზე. ბიჭებიც დაიღალნენ, შეუცვლელად დგანან, თან ბრძოლის წინ წასვლის უფლება არა აქვთ, ამან სულ გაალოთა მთელი ჯარი. ამ დროს შემოვიდა მოკლემკლავიან, სადესანტო ფორმაში გამოწყობილი მაღალი, რემბოს ტიპის მებრძოლი და მოგვესალმა. ანატოლი მამაევი, მესამე ასეულის მეთაური, — გამაცნო სერგომ. აქვე ვნახე მხარში დაჭრილი მებრძოლი, თბილისელი საგრატელიანი ვალერი, მუხიანიდან, რომელიც არც დაჭრის შემდეგ სტოვებდა პოზიციას და ბრძოლას განაგრძობდა.

მინაშვილმა ისიც მითხრა, რომ კავშირის არავითარი საშუალება არა ჰქონდათ. მთხოვა, გენერალ გვრიტიშვილისთვის პირადად მეთხოვა 102-ე ბატალიონისთვის რადიომოწყობილობები გამომერთმია და მათთვის ჩამეტანა. ამ დროს ბატალიონის ერთი ოფიცერი შემოვიდა გვარიანად ნასვამი. ფეხზე ძლივს იდგა. მინაშვილმა სასტიკად გალანძღა. ლოთობისთვის ტრიბუნალით დაემუქრა. ამ მძიმე სიტუაციიდან ანატოლი მამაევმა გვიხსნა. თავის პოზიციაზე გაყვანა შემოგვთავაზა. ჩვენც სიხარულით დავეთანხმეთ და წავყევით. მის მოთუხთუხე БМП-ში თხუნელებივით შევძვერით უკანა კარიდან და შეძლებისდაგვარად მოვეწყვეთ ავტომატის გასაყოფ ამბრაზურებთან, რომ რაღაც მაინც დაგვენახა გზაზე. მე ანატოლის ვთხოვე, -ზე ზემოდან დავმდგარიყავი, მაგრამ მამაევმა არ ქნა და თავადაც ჩვენს მოპირდაპირედ მოთავსდა. ჭაყჭაყითა და გრუხუნით დავიძარით, მაგრამ მალე დავრწმუნდით მამაევის მოქმედების სისწორეში, როდესაც -ს ტანზე მოწინააღმდეგის ტყვიებმა რაკარუკი ატეხეს.

(ჩავინიშნე: თბილისში რომ ჩავალ, აუცილებლად უნდა მივიდე რომელიმე მექანიკურ საამქროში და ჟეტონები დავამზადებინო, რომ ყველა მებრძოლს თავისი ხუთნიშნა კოდირებული ნომერი ჰქონდეს დაკიდებული ხელზე ან მკერდზე, სადაც ამოტვიფრული იქნება აგრეთვე მეომრის სისხლის ჯგუფი. ეს გააადვილებს როგორც დაღუპული მეომრის ვინაობის ამოცნობას, ასევე დაჭრილის შველას.)

პირველად მანდარინების ბაღებით ზემო პოზიციაზე, პატარა ზეგანზე გავედით. მარჯვნივ და ქვემოთ ერთმანეთს ჩაყოლებული თეთრი სახლები და მათ შორის მოქცეული პატარა სასაფლაო გამოჩნდა. უფრო შორს კი ბიჭვინთის რკალი და ზღვა. ზეგანის მარცხნივ ცისფერი ტბებისკენ ამავალი ხეობა იწყებოდა. აქედან ორივე მიმართულება კონტროლდებოდა. ჩანდა, მოწინააღმდეგე უკვე ძალზე ახლოს იყო მოხული... როგორც კი გავჩერდით და БМП-ს კარიდან თავი გამოვყავით, მაშინვე სროლა აგვიტეხეს. ღორთხვით ჩავცოცდით მრგვალად ამოთხრილ ნახევარმიწურში. ზემოთ დარჩენილ БМП-ზე კი ტყვიებს ლაწა-ლუწი გაუდიოდა. კარგად მოჩანდა ქვემოდან მესამე სახლის სხვენიდან რომ გვესროდნენ7 როდესაც ჩვენი -ხ ტყიამფრქვევის ლულა იქით შეტრიალდა, სროლა შეწყდა. — ტყიამფრქვევს და ყუმბარტმყორცნს ამ სახლებს ვერ ვესვრით, მოსახლეობაა მანდ და არ იქნებაო... — მითხრა დათომ, -ს მძღოლმა. — ისე ხანდახან ვაშინებთ!.. ზეგანის მეორე მხრიდანაც, ხეობიდანაც გვესროდნენ. ეს დღისით!... — ჩავერია საუბარში ერთი მებრძოლი. ღამით ისე ახლოს მოდიან, მათი ხუნთქვაც კი გვესმის!..

— ღამით ხედვის ოპტიკა თუ გაქვთ? — ისე ვკითხე, თითქოსდა პირველად ვიყავი ამნაირ პოზიციაზე და ამ ფრონტზე საერთოდ.

ბიჭებს გაეცინათ.

მერე ძალიან მთხოვეს დავხმარებოდი ბინოკლებისა და რაციის შოვნაში. აქ რამე რომ მოხდეს, შტაბამდე კაცი სირბილით უნდა გავაგზავნოთ. არც რაცია გვაქვს, არც საველე ტელეფონიო...

მთავარია, არც ტყვია-წამალი ჰქონდათ საკმარისი. მოწინააღმდეგისგან თითქმის მუდმივი ცეცხლი მოდიოდა. აქედან კანტი-კუნტად პასუხობდნენ.

ცოტა წავიხემსეთ მიწურში. თევზის კონსერვი ავტომატის ტყვიების ცინკის ყუთის საჭრელი დანით გაგვიხსნეს მასპინძლებმა.

მერე ისევ БМП-ში შევძვერით და ქვემოთკენ დავიძარით. უკანასკნელ მოსახვევთან სამი მებრძოლი შემოგვემატა. ისინი უკვე მანქანაზე ზემოდან დადგნენ. პირველი პიკეტი გავიარეთ, მერე ფაცხა-რესტორანთან შევჩერდით. აქ, ზედ გზაზე, ნახევრადდამწვარი უნივერმაღის შენობა იდგა. უნივერმაღის წინ ჩამოვქვეითდით და ხტუნვა-ხტუნვით და მალი გადარბენებით ჩავირბინეთ ფაცხაში. აქაც გვესროდნენ. ტყვიების ისეთი წკაპა-წკუპი ისმოდა ირგვლივ, წრიულ ალყაში გეგონებოდა თავი. ფაცხაში რომ შევვარდით, ერთი დაჭრილი უკვე გვყავდა. შტაბიდან გამოყოლებული ჩვენი გამცილებელი მსუბუქად დაგვეჭრა მხარში, ტყვიამ მხარზე გაჰკრა, სისხლი სდიოდა, ფარაჯა დაუსისხლიანა. ფაცხაში გულისხეთქებით შევვარდით, აქ კი სრული სიმშვიდე დაგვხვდა. ბიჭები ორ ტახტზე და მიწაზე გაფენილ ტყავებზე წამოწოლილიყვნენ. საქმიანად სინჯავდნენ იარაღს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.



# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## №14 აუქციონი

განაცხადები მიიღება 1995 წ. 4 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის 17 საათამდე. 1 აქციის ნომინალური ღირებულება = 1000 კუპონს = 1,46 აშშ დოლარს.
აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია

| № | აუქც. | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავებული მიწის ფართობი -ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XIV | 40. „ექსკავაცია"(საქქალაქმშენის სფ) | 114275 | 40000 | 35 | 58479.532 | 237-040 | ვაშლიჯვარი,სარაჯიშვილის 17,ტ. | თ. გამბერიძე | 1.8 |
| 2. | XIV | 124„კომ-ეკო"(„სანდასტექმრ."-ის სარ.კ-ტი) | 46679 | 16500 | 35.35 | 24122.807 | 238-124 | ენუქიძის 12,ტ.718651,717753 | მ. ნიქაბაძე | 5.6 |
| 3. | XIV | 151„ქუთაისის რკინა-ბეტონის №6 ქ-ნა" | 100443 | 36000 | 35.84 | 52631.579 | 480-151 | ქუთაისი, შევჩენკოს 10,ტ.64547 | მ.ბარბაქაძე | 1.8 |
| 4. | XIV | 168„ქუთმშენი"(სამშ.სამრ.კომერც.ფ-მა) | 65612 | 23000 | 35.05 | 33625.731 | 480-168 | ქუთაისი,ნიკეას 86,ტ.33568 | თ.ბერეკაშვილი | 0.9 |
| 5. | XIV | 185„შახტმშენი"(„საქქალაქმშ."№7 ტრესტი) | 110105 | 39000 | 35.42 | 57017.544 | 232-185 | ნუცუბიძის 56,ტ. | გ.გუჯეჯიანი | 8.54 |
| 6. | XIV | 231„ხაშურ„სოფლტექსერვ."ნავთ.პრ.მომარ.ბ." | 1717 | 610 | 35.53 | 891.81287 | 600-231 | ხაშური,ბექაურის 19,ტ. | თ.მოსიაშვილი | 0.5 |
| 7. | XIV | 251„აჩინებული"(თელავის ღვინის ქ-ნა) | 339381 | 119000 | 35.06 | 173976.61 | 250-251 | თელავი,აჩინებული,ტ. | ნ.ბარხუდაშვი | 7.02 |
| 8. | XIV | 277„შრომა"(ზესტაფ.ძირულ.ცეცხლგ.ნაწ.ქ) | 148577 | 53000 | 35.67 | 77485.38 | 210-277 | ზესტაფონი,ძირულა,ტ. | გველესიანი | 0.45 |
| 9. | XIV | 294„ხრამი"(მარნ.იმირის სამსხვრ.-დამხ.ქ.) | 378064 | 133000 | 35.18 | 194444.44 | 320-294 | მარნეულის რ-ნი,ს.იმირი,ტ. | სარაბული | 141.5 |
| 10. | XIV | 331„სოფლნაყოფიერება"(სენაკ.სარაიონ.საწ.გ) | 159900 | 56000 | 35.02 | 81871.345 | 430-331 | სენაკი,სოფ.ნოსირი,ტ.21875 | გ.ადამია | |
| 11. | XIV | 345„ფოთის ლუდის ქარხანა" | 47671 | 17000 | 35.66 | 24853.801 | 460-345 | ფოთი,ლოლუას 17,ტ.55505 | გ.მასხულია | 5.3 |
| 12. | XIV | 353„ნავთობი"(ლანჩხუთის ნავთობბაზა) | 35639 | 13000 | 36.48 | 19005.848 | 300-353 | ლანჩხუთი,კალინინის 8,ტ.3340,9431 | გ.ფირცხალაიშვ | 2 |
| 13. | XIV | 362„ახმეტის სატყეო კომბინატი" | 11064 | 3900 | 35.25 | 5701.7544 | 090-362 | ახმეტა,რუსთაველის 120,ტ.21221 | | 3 |
| 14. | XIV | 371„ელექტრონი"(„ფოთიელექტროაპარატი") | 290648 | 102000 | 35.09 | 149122.81 | 460-371 | ფოთი,ქორქიას 39,ტ.55266,52534 | გ.ფონიავა | 7.5 |
| 15. | XIV | 382„ბია"(სამგორ.რ.სასწავლო კომბინატი) | 87642 | 41000 | 46.78 | 59941.52 | 238-382 | ორხევის დასახლ.,ახვლედიანის 3,ტ.737882 | ბ.სიჭინავა | 4.71 |
| 16. | XIV | 384„ქუთტრანსი-3"(ქუთ.№3 სატვ.ა.სატრ.ს) | 73995 | 26000 | 35.14 | 38011.696 | 480-384 | ქუთაისი,ლომოურის 9,ტ. | ფ.იაშვილი | 2.58 |
| 17. | XIV | 386„დილა"(გორის ხელსაწყოთმშენებ. ქ-ნა) | 404551 | 173000 | 42.76 | 252923.98 | 150-386 | გორი,ცხინვალის გზატკ.8,ტ.23133 | ნ.კობიაშვილი | |
| 18. | XIV | 387„ლითოგრაფია"(გორის მრ.დარგ.მც.საწ.) | 103778 | 37000 | 35.65 | 54093.567 | 150-387 | გორი,შინდისის გზატკ.12,ტ.22665 | გ.ოქუაშვილი | |
| 19. | XIV | 389„ნავთობბაზა"(გორ.კომერც.შუამავლ.საწ.) | 117450 | 42000 | 35.76 | 61403.509 | 150-389 | გორი, კეცხოველის 168,ტ.22810 | თ. ბურჯანაძე | |
| 20. | XIV | 402„ბაისუბანი"(ლაგოდეხი,ბაისუბნ.ღვინ.ქ-ნა) | 255461 | 90000 | 35.23 | 131578.95 | 290-402 | ლაგოდეხი,სოფ.ბაისუბანი,ტ. | | 3.5 |
| 21. | XIV | 404„ავტომობილი"(საგარეჯ.ა/სატრანსპ.საწ.) | 37766 | 14000 | 37.07 | 20467.836 | 400-404 | საგარეჯო,კოსტავას 7,ტ.43022 | გ.ნიკოლაიშვილი | 3.2 |
| 22. | XIV | 405„ნავთობპროდუქტი"(საგარეჯ.,კ.შ.ს.) | 7591 | 2700 | 35.57 | 3947.3684 | 400-405 | საგარეჯო,რ.კინიგზის სადგ.,ტ. | გ.ბაბუნიძე | 1.28 |
| 23. | XIV | 406„ბადიაური"(საგარეჯ.სამრ.კომ.ფ-მა) | 258000 | 91000 | 35.27 | 133040.94 | 400-406 | საგარეჯო,სოფ.ბადიაური,ტ. | თ.გეგეშიძე | 9 |
| 24. | XIV | 407„გაჩიანის ხორცკომბინატი"(გარდაბ.) | 483221 | 170000 | 35.18 | 248538.01 | 140-407 | გარდაბნის რ-ნი,დ.გაჩიანი,ტ. | ა.დავითაშვილი | 9 |
| 25. | XIV | 409„ივერია"(ხონი,სოფ.გუბის ჩაის ფ-კა) | 64236 | 26000 | 40.48 | 38011.696 | 620-409 | ხონის რ-ნი,სოფ.გუბი,ტ. | | 2.6 |
| 26. | XIV | 411„ქვიტირი"(ქუთაისის კემპინგი) | 107859 | 50000 | 46.36 | 73099.415 | 480-411 | ქუთაისი, სამტრედიის გზატ.,კეცილი,ტ. | გ. ალავიძე | 4 |
| 27. | XIV | 413„ქისტაურის ღვინის ქარხანა"(ახმეტა) | 258499 | 91000 | 35.2 | 133040.94 | 090-413 | ახმეტა,სოფ.ქისტაური,ტ.20237 | | |
| 28. | XIV | 414„ახმეტის ავტოსატრანსპორტო საწარმო" | 36920 | 13000 | 35.21 | 19005.848 | 090-414 | ახმეტა,ჩოლოყაშვილის 88,ტ.21493 | მ.მამასახლისი | 2.4 |
| 29. | XIV | 417„ზვანი"(საქსამშენმას.ვაჭრ.სპეცავტოსაწ.) | 45472 | 16000 | 35.19 | 23391.813 | 230-417 | გლდანის სამრეწვ.ზონა,ტ. | ზ.დავითაშვილი, | 616560-ბ. |
| 30. | XIV | 418„საგარეჯოს „აგროტექსერვისი"(კომ.საწ.) | 42701 | 15000 | 35.13 | 21929.825 | 400-418 | საგარეჯო,კოსტავას 9-ა,ტ. | თ.ბუზარიაშვილი | 3.5 |
| 31. | XIV | 419„საგარეჯოს ფერმების მექანიზაცია" | 10909 | 3900 | 35.75 | 5701.7544 | 400-419 | საგარეჯო,ქვესამგორის დასახლ.,ტ. | გ.კონაშვილი | ? |
| 32. | XIV | 426„მერქანი"(ხაშურის ტარის შემკეთ.სათ.საწ.) | 22193 | 7800 | 35.15 | 11403.509 | 600-426 | ხაშური,სოფ.გომი,ტ. | პ.აბაიაძე | 1.5 |
| 33. | XIV | 481„თაიგული"(ლანჩხ.ჩაის აგრ.ფ-„თაიგული") | 243342 | 100000 | 41.09 | 146198.83 | 300-481 | ლანჩხუთი,თაბუკაშვილის 82,ტ. | ზ.თავართქილაძ | 4.5 |
| 34. | XIV | 572„ტრანსსერვისი"(ოზურგ.სამგზ.ა/სატრ.საწ.) | 53300 | 19000 | 35.65 | 27777.778 | 370-572 | ოზურგეთი,დავით აღმაშენებლის 74,ტ.6372 | ი.ლომაძე | 0.46 |
| 35. | XIV | 574„გრეიპფრუტი"(ფოთ.ციტრუს.სახ.მეურნ.) | 58871 | 21000 | 35.67 | 30701.754 | 460-574 | ფოთი,ბარათაშვილის 101,ტ.53690 | ჯ.კაპანაძე | |
| 36. | XIV | 575„სქური"(წალენჯ.სქურის ჩამომსხმ.ქ-ნა) | 12352 | 4350 | 35.22 | 6359.6491 | 510-575 | წალენჯიხა,თბილისის 9,ტ. | რ.შონია | 0.4 |
| 37. | XIV | 577„ახმეტის სამრეწვ.ქ-ნა „თბოაგრეგატი" | 47916 | 17000 | 35.48 | 24853.801 | 090-577 | ახმეტა,აღმაშენებლის 9,ტ.21893 | | 3.2 |
| 38. | XIV | 578„სოფლტექსერვისი"(ახმეტა) | 46642 | 21500 | 46.1 | 31432.749 | 090-578 | ახმეტა,რუსთაველის 56,ტ. | | 6 |
| 39. | XIV | 579„ხობის ავტომობილისტი"(ხობ.ა/სატრ.ს.) | 31482 | 11100 | 35.26 | 16228.07 | 610-579 | ხობი,წერეთლის 27,ტ. | მ.დოლბაია | 1.05 |
| 40. | XIV | 580„გრემი"(საქსოფლტანსაცმელვაჭრობა) | 144169 | 51000 | 35.38 | 74561.404 | 233-580 | სამგორის ჩიხი 4,ტ. | რ.ლეკიშვილი | |
| | | ს უ ლ : | 4906093 | 1806360 | | 2640877.2 | | | | 248.8 |

# ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია



გიორგი შატბერაშვილი (1910-1965) იმ ბედნიერ გამონაკლისთაგანი გახლდათ, ვის პიროვნებაშიც თანაბარი ძალით იყო შერწყმული პოეტისა და პროზაიკოსის ტალანტი. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მისი „მკვდრის მზე" ქართული პროზის უცილობელ შედევრად არის აღიარებული.
იგი, სრულიად ახალგაზრდა პოეტი, სულისშემხუთველი რეჟიმის მიერ იქნა რეპრესირებული, ხელოვნურად ჩამოაშორეს საყვარელ საქმეს, მაგრამ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც არაერთი შესანიშნავი ლექსი შექმნა, გამოავლინა სიახლის იშვიათი გრძნობა.
გიორგი შატბერაშვილი ხშირად იყენებს ქართული შაირის ნაირსახეობებს, რაც მის პოეზიას სილაღეს, ბუნებრიობას მატებს, გაუტეხელი, რაინდული სულით ავსებს.
მწერალი ბევრს და საინტერესოდ მუშაობდა ლექსიკოგრაფიის ნაკლებად შესწავლილ საკითხებზე. მისი „თვალადური ჭაშნიკი" ყველა ჩვენთაგანის სამაგიდო წიგნია, დიდი ცოდნითა და სიყვარულით დაწერილი.
ვფიქრობთ, გიორგი შატბერაშვილის წინამდებარე ლექსები სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს მისი პოეზიის ძირითად თავისებურებებს.

ემზარ კვიტაიშვილი

## ამის დამწერი

წარწერა მეგობარ პოეტის წიგნზე

ამის დამწერი თუ მოკვდა, ცხონდეს—
მაგრამ სიკვდილით არ დაგვილონდეს,
ალამაზებდეს მკვდართა ქვეყანას,
როგორც ყაყაჩო ამშვენებს ყანას.

ცისკენ ეპყრა მას ცალი თვალი,
ძმებო, დავლოცოთ ცად მიმავალი!
დე, ცალი ფეხი მიწაზე ედგას,
ცოცხლობდეს,
ვგრძნობდეთ მის გულის ფეთქვას!

აქაც და იქაც, სადაც არ იყოს,
გარიყოს ბედმა თუ არ გარიყოს,
მოკვდეს,
სამარის ქვას დაეწეროს:
„ალსდექ, იცოცხლე—
ვსვამთ სადღეგრძელოს!"

წალეკოს ბედმა თუ არ წალეკოს,
სალექსო გული ჰქონდეს სალექსოს,
სალხინო გულიც ჰქონდეს სალხინოს,
ჯიშიან ლექსებს აკუროს ღვინო...

იდგეს ქვევრის წინ ის მუხლისჩოქით,
ილოცებოდეს და სვამდეს დოქით.

თუ ცოცხალია ამის დამწერი,
დაიპყრს გულებს ლექსის ფაცერით,
მისი სიმღერა იქცევა ამბად,
მის ლამაზ სიტყვებს არ უნდა სტამბა!

მაგრამ, ვაჰ, ერთხელ —
თუ მოკვდა, ცხონდეს,
იმ ქვეყანაშიც არ დაგვილონდეს,
აქაც და იქაც ამის დამწერი
გულებს იჭერდეს ლექსის ფაცერით—

მისი სამარის ქვას დაეწეროს:
„ტკბილი სიცოცხლის ვარ სადღეგრძელო!"

## ოდისევსის სიმღერა

ვარ ოდისევსი, გადავლახე მღელვარე ზღვანი,
გზა უდაბური კუნძულების, მსხვრევა ხომალდის,
პოსეიდონის უკან დევნა და შერისხვანი...
ვარ ოდისევსი, გამოვცადე მსხვრევა იმედთა,
ცრუ მეგობრობა, ცბიერება, ცვალება სწრაფი,
გამაპალარა და მომქანცა ჭიდილმა ბედთან,
ვუახლოვდები მოქანცული სამშობლოს ნაპირს:
ვარ ოდისევსი მიტაცებული ხომალდის ანძას:
მოუსმენელის ჭერ კაცთაგან სმენა მწადია,
თანამეზავრები დასცინიან ჩემს უხმო ტანჯვას,
ჩემს უხმო ტანჯვას, ეს მეათე წელიწადია!

## მეც მესხი ვიყავ...

მეც მესხი ვიყავ, განთქმული
მარჯვენით, ხმლით და ნაბადით,
ფესვი იქა მაქვს გადგმული,
განლაგართ იქ დანაბადი.

ლხინში მოლხენა ვიცოდი,
ჯამებზე ჯამის ჯახება,
მხედრულის შემოძახება,
შებმა და შეჯავახება!

ვერ დავრჩი ხელშეუხები:
მომწყდა ხონთქარის ჰანგები,
ფხრიწა მესხური ნუსხები,
მიმსხვრია ტკბილი ჩანგები.

ცეცხლით გადამწვარ მიწაზე
ბარბაცით გზას მოვიკვლევდი,
მტრის ჩეხვით გამოვიტაცე
შატბერდს ნაწერი წიგნები...

თქვენ წინ დაჭრილი დავეცი,
თქვენი ალერსი მეღირსა.
ვიძინე... მუხლისთავებზე
წამოვდექ, ვამომეღვიძა.

განა სამდურავს გავბედავ,
თუმც ბედად მე დამბედა:
მტერთა სიმრავლე შავბედად
და სიყვარული მეფეთა...

აქა ვარ, მაგრამ ის მიწა
ისევ მეძახის, მიმელის!
მე თქვენი სისხლის, მისხის ვარ,
ძმა ამერის და იმერის...

წამოდით, წინ წაგიძღვებით,
მე დროშის ჭერა მიყვარდა,
ჩანგის კვრა, მკლავი მრისხველი,
მესხობა მით გამიგვარდა!

## ერეკლე მეფის ანდერძი

მე ვარ თოფი-მუსაიფი,
კახთ-ბატონის ერეკლესი.
წარწერა ერეკლეს თოფზე.

არ მიყვარდა მუსაიფი,
შაირების, ზმების ტყორცნა,
მტრების სისხლმა ეს მარჯვენა
ხმლის ვადასთან შეახორცა.
წინ მიძღოდა, მამხნევებდა.
მოციქული დაუნდობი,
პირდაპირი. მაგრამ ავი
მუსაიფი ჩემი თოფის.
დავდიოდი, ჩავბღაოდი
ნასახლარებს, როგორც ხარი.
ჩემი მტრების სისხლით მორწყე
ჩემი ძმების ნასისხლარი.
რამდენიც ვკარ და ვაძგერე
სატევარი აბეზართა,
მათი სისხლის დანახვაზე
სიძულვილი გამეზარდა...
საქართველოს ამაყ მხედრებს
ჩვენს ტკბილ მიწას ვაფიცებდი,
ასე ვზარდე მე ვაჟკაცნი
არაგველნი, ასპინძელნი,
პურ-მარილის მამა ვიყავ-
მტრისთვის ავი მასპინძელი!

სად მეცალა მე სალექსოდ,
სათავოდ, საარაკოდ,
ჩემი სისხლის წვეთებია
საივროს თუ საარაგვოს;
მიდით, ნახეთ, თქვენ გეძახით
ქსნის პირას თუ თრიალეთზე,
მოძებნეთ, რომ ჩემი სისხლი
თქვენს ძარღვებში თქრიალებდეს.
მიდით, ნახეთ, გაიოცეთ:
როგორ ჩახმა, გასალკლდევდა,
დახედეთ და მტერს შეებით,
თუ მოგადგეთ ასაკლებად—
დახედეთ და თქვენი მტრების
სიძულვილით დაითვერით,
შეიყარეთ, ჩემს ხმალს ჰკითხეთ,
როგორ მძულდა ჩემი მტერი!
ასე მზრდიდნენ პაპისპაპა —
დავითი და გორგასალი,
ამ სიმღერით მოვიარე
ინდოეთი, ხორასანი.
ეს ხმა არის ჩემი ტკბილი
დიდიდედის თამარისა,
ამ ქართულით გავხდი ღირსი
სვეტიცხოვლის სამარისა!

## სამაია

მყავდა ერთი სიყრმის სწორი,
არჩეული სწორთაგანა,
სცადეს და ვერ გაგვარჩიეს,
ერთი ძუძუსმწოვთაგანა.

სცადეს მტრობის ჩამოგდება,
ერთმანეთის შეძულება,
უფრო მეტად შევიყვარეთ
ძმობის ეშხში შეხულებმა.

ერთი ვინმე აგვემგზავრა,
უმჯობესი ქალთაგანა,
მიდიოდა, ლილინებდა
სამაია სამთაგანას:

„სამაია სამთაგანა,
არ იქნება ორთაგანა,
დამიტირონ თვალთა შენთა,
დავიმარხო სწორთაგანა".

მოგვხედავდა, ცეცხლს გვიჩენდა,
გვიღიმოდა ხანდახანა—
ოჰ, იმ ქალმა დაგვავიწყა
ძმობის ფიცი თანდათანა;
ერთმანეთი შევიძავრეთ,
დავდიოდით განდაგანა.

სად ხარ, ჩემო სიყრმის სწორო,
არჩეულო სწორთაგანა,
გახსოვს, რომ ვერ გაგვარჩიეს
ერთი ძუძუსმწოვთაგანა...

გაიხსენე ის წამები
უკეთესი წამთაგანა,
ნეტავ შენც თუ გახსენდება
ის გოგონა ხანდახანა,
ვის დაეცეს გულზე ცრემლი
მის მშვენიერ თვალთაგანა?

ან შენ სად ხარ, ერთო ქალო,
უმჯობესო ქალთაგანა,
რად გაგვყარე სიყრმის სწორნი,
რად გვატარე განდაგანა?

. . .

სიყვარულის სამაია
არ იქნება სამთაგანა...

## ბულბულს დავსვამ ჭიქაზე...

ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი,
ბულბულს დავსვამ ჭიქაზე,
ვარდის ტოტზე დაჩვეული
ჩვენთან ჯდომას იკადრებს!

თუმც პატარა ფრინველია,
ნუ მოაკლებთ აზამბარს,
მიაწოდეთ,
ლექსებს იტყვის,
მთვარის შუქზე დასტამბავს!

მეზობლები გვიდღეგრძელოს
და მრავალი სტუმარი,
ჩვენთან ერთად აღიღინდეს
ბაგედაუდუმარი.

აიზილოს ჩვენს ჰიშკართან
საკართანო ტალახი,
ჩვენს კიბეზე სტუმრის ფეხი,
მტრის კიბეზე ბალახი!

ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი,
ბულბულს დავსვამ ჭიქაზე!

## ტივისხე

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუდგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა—

დროც მოდის, როგორც მდინარე...
თურმე შენ გადამივიწყე,
დაშლილა, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივისხე.

არ ვიცი, ბედი ავბედი
წამიღებს რომელ მხარესა,
მიმატივტივებს მდინარე
გულაღმა მწოლიარესა.

ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,

ხანდახან მომენატრები...
ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადაგივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივისხე...

* * *

ჭერ ზეცა მაინც არ არის წმინდა,
არ არის წმინდა, ისეთი წმინდა, როგორიც მინდა.
და წვიმაც, თუმცა ის არის წმინდა,
არ არის წმინდა, ისეთი წმინდა, როგორიც მინდა.
დავარსკვლავებიც არ არის წმინდა,
ისეთი წმინდა, როგორიც მინდა.
ბავშვის თვალებიც არ არის წმინდა,
არ არის წმინდა, ისეთი წმინდა, როგორიც მინდა:
ბავშვის თვალთაგან იმზირება ბოროტი მამა,
დედა... ოჰ, დედა! არც ის არის ისეთი წმინდა.
შემინდე, დედა!
მეც არა ვარ ისეთი წმინდა...
დადგება ჟამი და უფრო წმინდა იქნება ზეცა.
დადგება ჟამი და უფრო წმინდა იქნება მიწა.
დადგება ჟამი და უფრო წმინდა იქნება წვიმა.
დადგება ჟამი, უფრო წმინდა იქნება, დედა...
დადგება ჟამი, უფრო წმინდა იქნება ბავშვის
წმინდა თვალები, უფრო წმინდა, როგორიც მინდა.
დადგება ჟამი...
ჭერ კი ჟამიც არ არის წმინდა,
არ არის წმინდა, ჟამი გვძლევს და ჟამი გვღუპავს.
არის იმედი და გვაცოცხლებს იმედი წმინდა,
მხოლოდ ის არის კაცთა გულის ყვავილი წმინდა.
მხოლოდ მან იცის, მე რა მინდა, ან შენ რა გინდა...
დადგება ჟამი...
ჭერ კი ზეცა არ არის წმინდა...
ჭერ ზეცა უკან აბრუნებს წვიმად
მამების სისხლს და დედების ცრემლებს.
დადგება ჟამი?

## წინაპრები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კავკასიონი“ № 148)

გულქანი შეცბება, როცა სტუმარი, თუში ქალი ეკითხება, მამას სიზმარში არ ხედავო? გაოცებული ეუბნება ეთერს: „დავბერდი და, ჩემის ლამაზის მამის ხულს გეფიცები, შენს მეტს არავის უკითხავ“.

არადა, ხომ ხასწაულია — ელაპარაკები ოთხმოცდაათი წლის დაჩიავებულ დედაბერს, ვისაც მამამისი, ვაჟა ფშაველა სიზმარში ეცხადება. სიზმარი და ცხადი ამ ნაუბარში ერთმანეთზეა გადაქსოვილ — გადალამბული, როგორც თავად ცხოვრება.

გიკვირს, როგორ ჩვეულებრივად ჰყვება:

„იმ დღესა მამაი ვნახე სიზმარში. კარები შამაღო და შამაიხედა. არ მომაგონდა ხიკვდილი, ცოცხალივით შევხვდი. მახათრებდა მამა, ხმას ვერა ვცემდი... შამოვიდა, გაუკმარა თითქო ჩემი ყოფა-ცხოვრება და მითხრა: — აბა, გოგოო, როგორა ხარ, რანაირათა ხარო, შენ ეხე ვერ იქნებიო... რატო დიდხანს არ ეჩვენებიან ნეტა კაცხა, რაღაზე დაიკარგებიან, რა იქნებოდა. სიზმარში მაინც მეამბნა მამიხთვინა, ეგ რაღა შეხაშური იყო ჩემთვინა.“

სხვა დროს მაგიდასთან ხედავს მარტო მიმჯდარს. საწერ-კალამს აწვდის იგი გულქანს (სხვა არც არავინ გაჩნია), ჰკუას არიგებს, მოძღვრავს: „— დაიჭი, დაიჭიო ეს საწერ-კალამიო, მითხრა. მე კიდევ: — მამაო, — უთხარ, — მეძროხე ქალი ვარ, წერა-კითხვა არ ვიციო... — დაიჭი, დაიჭიო, — გამიმეორა, — რაც მოგაგონდეს, ხუცესლავერი წერეო...“

და უეცრად ქრება ძვირფასი ლანდი და ისევ ამოგმინვასავით ხინანული:

„დამეკარგა, ველარავერი ვკითხე, დამეკარგა ჩემი მამაი.“

ალაგ-ალაგ კომენტარებდართული ჩანართებია, განსხვავებული, წვრილი შრიფტით აწყობილი, იოლად გამოსარჩევი, სხვანაირად რომ ავსებს და ელვარებას მატებს ძირითად ტექსტს. აი, ერთი ასეთი ჩანართი:

„...რაც ამოხკვდა, ეთერო, მერე წინდაზე გადავე ამასაც ჩაუთავე ნაჭრელაი, ფოთოლანი ჩავამიბე... — ხელსაქმის პატარა ჩანთიდან დასრულებული ცალი წინდა ამოიღო და ჩხირასხმულს დაატოლა. რაღაც თვალა, იჩიფრფა...“

ისევ მამამისს ეჯიბრება, არ ანებებს თავს. იმის კალამს თავის „საქსოვ-სახთავს“ უფარდებს, თან გეღიმება ამის წაკითხვაზე, თანაც გსიამოვნებს. ეს, არ არის უბრალო თავის მოწონება, ყოყოჩობა:

„მამასა ბედ-მწერელმა საწერ-კალამი მისცა და მე საქსოვ-სახთავი. მამა ხანამ თავის საფიქრალს ისე არ გამაიყვანდა, როგორც უნდოდა, არ მეეშვებოდა. მე საქსოვში ვარ ეგეთი. ხანამ იხეთას ნაჭრელას არ ამოვიყვან, როგორსაც თავიდან ვიფიქრებ, არ მოვეშვები... ვაი, აგე ეხლაც ჩამივარდა თოლი, წავშჩხვლიკე წინდის ჩხირი და ამოვაბძანე. ზოგ დღესა კამკამით მიჩანს საქსოვი, ზოგ დღეს დამიბუნდდება ეს ოხერი თვალები რადამა... რაღა კი რადამა, ახლა ვარ მიტანებული და მითა...

ხევსურები მოჰქსოვენ სადადა, აიღებენ ნემსსა და ისე ააყვავებენ, რო თვალს ვერ მააშორებ...

ფშაური წინდებია ეხვები, ფშაური...

თუშის ქალებმა ხო ხელდალოცვილი ქსოვა იციან...“

გულქანის მამას ჭრელი წინდები არ ყვარებია. ტანსაცმელს დიდად არ არჩევდა თურმე, რასაც დაუდებდნენ, ჩაიცვამდა. ერთ რამეს კი ვერ თმობდა — „მარტო ეწერა, ეწერა, ეგ იყო მისი საფიქრალიც და სატკივარიცა.“

ყვავილებიდან ცისფერ, უნაზეს სასუტელას და იას ალმერთებდა. მოატანინებდა ტყისპირებიდან, ნაწვიმარზე, გულქანს და ქზოში ჩაარგვევინებდა. ამაზე უკეთ ვერავინ დაგვანახებს მინდვრის სახის დამხატველს: „ყვავილები მამასა ჩვენ თავს ერჩია.“

ან კიდევ. რა საცნაური სურათია; მთელი ჯალაბი კალოზეა წასული. ავდრის მოლოდი-(ნია. ხორბალს ლეწავენ. ბზეს აცლიან. ამ დროს -- „მამა კალოს პირზე ზის, წერს. ჩემმა დედინაცვალმა გამაიბრა და: — ეე რასა სწხაპნიო! მამაჩემმა გამახედა და: შენ რო რამე გესმოდეს, მეტყოდი, დასწერე, დასწერეო.“ ითლი წარმოსადგენია, რანაირადაც „გამახედავდა“ ვაჟა თავის უბირ მეუღლეს. აქვე ერთ ფრაზაშია მოქცეული შვილის სინანული, ამ ტიტანს გამუდმებულ შრომაში არავითარი სარგებელი რომ არ უნახავს, გაჭირვებაში ამოხდა სული („იმან რო ვერავერი გაიგო თავის დანახარჯის ენერგიისა“). ამას კვლავ მოსდევს ერთი პაწია, საკვირველად შეკუმშული ფრაზა, სადაც ვაჟას მთელი მოწამებრივი ცხოვრებაა დატეული: „სწერდა, სწერდა, გახდა ავადა, დაიღუპა...“

ერთ რამედ ღირს ძალუას ეპიზოდი, იმ ქალისა, ვისზედაც გულქანს ნათქვამი აქვს: „მადლიანი იყო, ჩემი ობლობის მეპატრონე.“ ეს ქალი სტუმრად მისულ პატარა გოგოს ხან ქადას უწილადებდა, ხან — ხაბიზგინს, ხანაც — ხინკალს, რაიმე სახუსრავს. ერთხელ კენჭიან ქადისკვერს შეპირებია, შენი საქონელი, ძროხები მე გამატანე, ოღონდ ლუკას ნუ ეტყვიო. მართლაც, ვაჟასგან ნამალევად, „ერთ ქადაზე გაუტანებია ძროხები იმ ქალისთვის. ეტყობა, ხინდისის ქენჯნა სტანჯავდა ამის გამო და თავისი ნალაპარაკევის ჩამწერს ალხარებასავით უმჟღავნებს:

„— ეს ამბავი ხუ ტეირთივით მაწევს. სიქიოს რო შავხვდები მამასა. ხუ პირველად ამაზე ვკითხავ პატიებას. სხვა არა დამიმალია მისთვის...“

ამას რომ წაიკითხავ, შეგაურიალებს, იქნებ მართლა შეხვდა ამდენი ხნის დაშორებული, ერთურთის ნახვას დანატრებული მამაშვილი ერთმანეთს. ჰომეროსის წარმოსახვა სჭირდება ამის აღწერას.

ზმანებებში, ლანდების სამყაროში გადავარდნილი გულქანი იმასაც აღნიშნავს — სიზმარში ეგებ დედასაც ვნახულობ, მაგრამ სახით არ მახსოვს და ალბათ ვერც ვხვდები, რომ ის ქალი დედაჩემიაო.

რაა გასაკვირი, რომ ვაჟას ნაგრამს, მის უსაყვარლეს ქალიშვილს, ფრინველები და ცხოველები უზომოდ ჰყვარებოდა. თვითონაც ერთი ციცქნა, პაწია წიწილებს ხელში აიყვანდა და ალერსით ახრჩობდა თურმე. დედინაცვალი აურთხილებდა, ცოდვებია, წვენი გასდით, დაიხოცებიანო.

დღეს ვის ნახავთ ისეთს, ეზოში შინაურ ფრინველებს ხვდებოდეს და კოცნიდეს. რამდენი ხანი იყო გასული და უკლებლივ ახსოვდა იმათი სახელები:

„ჭრელი ვარია იყო. „ბუზულას“ ვეძახოდი, ერთს „ანაპწიას“ ვეძახოდი, ის მიყვარდა, ვეჭერდი და ვკოცნიდი.“

„ბუზულა“ ქორმა გაუბდღვნა. ტირილისგან გული ამოუჯდა. ისვე მამამ დააწყნარა — ნულარ სტირი, ვერაფერს უშველიო. დაპირებია, ლამაზ საკაბეს გიყიდიო — „ზედ შენი ბუზულა-ნაპწიები იხხდნენ, აი, ისეთსაო.“ წასულა ღუქანში და შეუსრულებია დანაპირები.

ვაჟამ, ცხადია, გაუგო სახიათი თავის ანც, ბარტყების ამოსაყვანად ხვებზე მოძრომიალე ქალიშვილს და ერთ დღეს თავად მიუყვანა მტრედის ორი ხუნდი:

„აბა, გულქანო, ტრედის ბარტყებიო... დედავ, როგორ გამიხარდა! გავზარდე, შავიჩვიე. ხუ ჩემი ტახტის თავზე იხხდნენ. ქედნები გამოვიდნენ. თეჩებისთვი დაიწყებდნენ ღუღუნსა: ღუ, ღუ, ღუუ... მაშინ ვერ ვიცოდი, შინაური ტრედებიც თუ იყვნენ... ვერ დავაყენე ვიჭრიდი მხრებსა, მაგრამ მაინც დამიფრინდნენ. მცნობდნენ კი, რას არა მცნობდნენ. როცა უცხო ვინმე შემოვიდოდა, ტახტის ქვეშ დაიმალებოდნენ... კუჭუნჭია, კუჭუნჭია, გენაცვალე თირკმელუნაშიო, — მოვეფერებოდი. გამოგოგდებოდნენ. თუ ვინმე შემოვიდოდა, დაიხრიდნენ თავებსა და შაძვრებოდნენ...“

სათითაოდ იგონებს, რა გაუზრდია და რას ელოლიავებოდა, ალერსად დნება ეს პირქუში, სხვებთან სიტყვაძვირი ადამიანი:

„რაღა არ მყვანდა, ქალო!

მწყრის შვილი მყვანდა. დამეკარგა, დამეკარგა და დავღონდი. კინაღამ მოვკალ ციცა, შენ შამიჭამდიო. ის კიდე ბუხარში შამძვრალიყო. ნაცარში ფუტკულაობდა რა ლამაზადა, ერთი მხარი ნაცარში იქონდა, მეორით ნაცარს ზედ გადიაყრიდა... სახლსა ეგკიდი იმ დროსა. გამოვიყვანე. ფეხზე ბაწარი მოვაბი, მოვეფერე.

შვილი არ მემეჯიგრება ისე, როგორც ის მწყრის შვილი. ვაი, შენ პატლონსა, თვალებიღა უჩანდა ნაცარშია...

მწყრის შვილაი, მწყრის შვილაიო! — დაუძახებდი. დაიწყებდა მძიმე-მძიმედ წიწინსა, ალბათ თავის ენაზე თუ მელაპარაკებოდა.

გავიდა კარებთანა, მამაის ოთახშია. „ფრიო“, გამიფრინდა, გაიყოლა ბაწარიცა. ციცა შამიჭამდა იმ ბეჩალასა... გველივით მეცემა იმის დარდი გულზედა.“

პატარა ციყვი („ციყვის კნუტაი“) მიუყვანია ვიღაც მადლიანს ტყიდან, მისთვის უჩუქებია. ისიც გაუზრდია გულქანს, ადამიანივით გონიერი ყოფილა, არაფრის წესი და რიგი არ ეშლებოდა თურმე, მუდამ თავის დროზე ჭამდა და იძინებდა. დაძახებისთანავე პატრონთან გაჩნდებოდა. ძაღლს დაუფეთებია და გაუქცევია. ხანანებლად დარჩა, რაღა თქმა უნდა, მისი გადაკარგვა გოგოს.

ერთი გარეული კურდღელი უტრიალებდა თურმე, რაზიკაშვილების კარ-მიდამოს, მოსწონებია იქაურობა. იქნებ გრძნობდა კიდეც რაღაცას, ვინ იცის. გულქანიც დიდის ამბით, გაკვირვებული ყვება:

„ქალოო! რამდენ ხანს იარა ველურმა კურდღელმა ჩვენ სახლის გარშემო. არ გვერიდებოდა რადამა. რა მაიყვანდა ველის კურდღელსა. მოვიდოდა, აქ უტკბებოდა გული, არ გვერიდებოდა, რავი, რატომა. ხუ კბილებში ვკოცნიდი კურდღელსა, მიყვარდა...

კალოზე ჩამაირბენდა ეგ კურდღელი, ხმაზე მცნობდა, სახეზედაც იქნებ მცნობდა, აბა, რა ვიცი!

მეცხვარის ძაღლმა დამიფრთხო ეგეცა. ჩვენი ეზო-კარი მაინც არ დააგდო დამფრთხალმა, მაინც მოვიდოდის...“

მერე ისევ მწყერს იხსენებს, ყველას იმას ამჯობინებს, ახლაც ოცნებაში ეფერება, ეგვინება რუხ ხრიალა ბუმბულს ხელს უსვამსო:

„მწყერი კი მაინც ქვეყანას მირჩევნიან. არ ვიცი, თუ მწყერზე მეტად ადამიანი შემიყვარდება.“

მეძროხე ბიჭს უთქვამს, დეკიანში მოკრუხებული როჭო მეგულება და იმას მოგიყვანო. ცას ეწია სიხარულისგან გულქანი. ჭრელ წინდებს მოგიქსოვო, შეპირდა იმ ბიჭს. როჭო შინ ბაწრით ჰყოლია ერთხანს დაბმული, მალე აუწყვეტია და ბაწრიანა გაქცეულა. ცალკე იმ კარგი ბაწრის დარდი დარჩა, ცალკე -- როჭოსი, ვამთუ სადმე გაიხლართოო.

ამოძახილზე ეტყობა, რამდენად დანანებია ქოხის კარებს გამობმული როჭოს გაქრობა. ვერ ივიწყებს, ფიქრში ელაციცება:

„როჭო, როჭო... როჭოც მყვანდა. დედავ, როგორ მიყვარდა!..“

„ირმის ხბოს“ როგორ დაიკლებდა „შელის ნუკრის ნაამბობის“ დამწერის შვილი; მწყემსმა გოგოებმა მოუყვანეს იალაღიდან, შემობიარე ირემს დაატოვებინეს. ძროხის რძით გამოზარდა, შეიჩვია, მოიშინაურა. შავი ბედი დაურჩა საბრალოს. მის ამბავს მოთქმა-ვაებით ამთავრებს გულქანი:

„ვაიმე, რა ლამაზი იყო, ღმერთო!.. „ფურას“ ვეძახდი, დაუძახებდი და — ააა, ააა... ძერასავით ხმა ჰქონდა. კალოში ჭინჭროლაში იმალებოდა. ჩავიდოდი კალოში. „ფურაო“ რო დაუძახებდი, ჯერ არ გამომეძრახებოდა. სამჯერ რო დაუძახებდი, მერე გამოყოფდა თავსა. — მოდი ვითამაშოთო... გავიქცეოდი, გამომიდგებოდა. გამეკროდა გვერდზე. ერთხელაც, რო დაიღალენით მე და ფურაი, დავჯექი. გვერდზე დამიწვა. შევხედე და ამოუვიდა სული. კუდზე თუ მოჰკიდა ვინმემა ხელი. ნაუღელა აქვ კუდშია, ის უსქდება... ვაიმე, როგორ გავხე! ეხლაც რო მამაგონდება, ჩავინაცრები. შვილივით ვზრდიდი, ისეთი ჯიგარი მქონდა, შვილზე რო გექნება. როგორც მკვდრის პატრონი, ისე გავხე. ვაიმე!“

მხოლოდ დიდ პიროვნებას, სულით პოეტს თუ შეუძლია ბუნების შვილთა, ცოცხალ არსებათა ასეთი ღრმა და სათუთი სიყვარული. აქვე თავისი, სიღარიბისაგან წელში გაწყვეტილი მამა აგონდება გულქანს: „ვშტერდები... ძალიან, ძალიან მაკვირვებს, ის ფიქრი საიდანღა იქონდა მამასა, შელის ნუკრზე საფიქრლად ნეტა როდის დაჯდა ჩემი მამაი, ხუ აღელვებული, ხუ დაღალული.“

ამას მოსდევს სხვანაირი წუხილი, რომელიც იმ უცნაური, ულრმესი ფრაზით თავდება, წიგნის სათაურად რომ არის გატანილი და გაოცებს, ბოლომდე ვერ ჩაწვდომიხარ, ვერ გაგისიგრძეგანებია:

„მამაჩემსავით მე რას გამოვიყვან ან რას გაამბობ, ჩემო ქალო, მამამა ღმერთს სახელი ჩამაჭყარა!“

აქ გულქანი უკან იხევს, ვერ ბედავს შედარებს, თავი გაუტოლოს უმაღლეს სიბრძნეს ნაზიარებ მამას, ვინც ღვთაებასთან წილნაყარი, მისი გმირების მსგავსად, როგორც ძველი ფშავლები იტყოდნენ, „ნაწილიანი“ ანუ „დავლათიანი“ იყო.

ამ უკიდურესად თამამი და ტევადი მეტაფორული ნათქვამის ჩვეულებრივ ენაზე გადმოღება არ ხერხდება. იგი უფრო უნდა ჭოგრძნოთ, მისი განსაკუთრებულობა გონების გარდა სხეულითაც უნდა ვიაზროთ.

ამის მერე თარიღებია დასმული (27.VII — 6.VIII. 1987 წ.), რამდენიმე თვის წყვეტილია ჩანაწერებში, მომდევნო წლის თებერვლამდე აღარ მიუკითხავთ ცოლქმარს (ეთერსა და მის მეუღლეს, ძალზე მორიდებულ პიროვნებას, ამირან არაბულს, ვინც სურათებსაც უღებდა ხოლმე გულქანს). აქ ისევ გამორჩეული, წვრილი შრიფტითაა აწყობილი შინ მარტო მყოფის მოძრაობა:

„ღუმელთან ზის. ფეხსამოსს იცმევს ჩალუნული და თავისთვის ჩიფჩიფებს. ხმაზე მიცნო — შემოდით, ამ შუა ზამთარში აქ საიდან გაჩნდით...“

მამლის დაყინებულ ყივილზე უგრძვნია, რომ სტუმარი მოუვიდოდა. მერცხლის („ჭიკჭიკელას“) ლექსს იწყებს, სიხარულის, გამარჯვების მაცნედ მიიჩნევს მის გამოჩენას, შიგადაშიგ თავის ნაფიქრალს ურთავს („თუ ვისმე ეჩქარება, სიტყვა პირში მითავდება, არ ვიცი, რადამა...“), მერე ორ სტრიქონს ამბობს, ვიღაც უბედურზე. ალბათ ღალატით მოკლულზე. შეგძრავს, ისეთი სურათია:

ადლდას ჩანთელისასა,
თოფში ჩასვლია
წყალიო...

მერე გამწარებული ბუზღუნებს. ეტყობა, წინდის ჩხირები აღარ ემორჩილება. თვალთა ჩინიც მიბუჟტული აქვს. დაიჩივლებს: „ველარასა ვქსოვ, ველარა, ველარა...“ სხვა რამეებსაც ემდურის: „მერევა გონება, მეხსიერობა როდის რასღა იმეტებს ჩემთვინა...“

ისევ იწყება სიზმრები, ისევ მამა ეჩვენება, ის არიგებს, განსაცდელისაგან იცავს. ცული დაუკარგავს ორი დღის წინ, ჯავრად ჩაჰყოლია ეს ამბავი. მამა გამოცხადებია, ალუბლის ხესთან გაჩერებულა, ხელში წყლით სავსე ჭიქა სჭერია, იმას უსწავლებია, სადაც იყო ცული, შეშის საჭრელთან აგდია, ნაფოტებთან. ტარი უჩანსო. მართლაც, გამოღვიძებულს, ზუსტად იქ უნახავს ცული.

ერთი ხილვა მთლად სასწაულებრივია, ფრუანტელი დაგივლის, უცრემლოდ ვერ ჩაიკითხავ. ეს ნამდვილად ღვთაების გამოცხადებასავითაა:

„სიზმარი ვნახე: ჩერქეზულად ჩაცმული თავის ნიკორზე ზის მამაი და თავქვე მიდის გაჩქარებული... — სად მიდიხარ, მამაო?! — დაუძახე. — ქვეითა, ქვეითა, შვილოო, საქმე უჭირს საქართველოსა. საქმეო, სანამ არ მოვაწარმოებ საქმესა, ვერ მოვბრუნდებიო... ლევანის ცოლი მოგვკვდომიყო, რძლის სამძიმარზე მიდენილიყო ბეჩავი მამაი...“

გულქანს რომ ღღევანდლამდე სული სდგომოდა, ახლაც ნახავდა თავის „ბეჩავ მამას“ სიზმარში. თუ უჭირს, ახლა უჭირს საქართველოს — დახანძრებულს, დაჯიჯგნილს, ამდენი ბოროტისა და მოღალატის გადამკიდეს; ბოლო წლებში იმდენი უბედურება დაატეხეს შინაურმა და გარეშე მტრებმა, ლამის გაქრეს, ჯოჯოხეთის ალში ჩაიწვას. ასეთ ყოფაში რა გული გაუძლებდა ვაჟას — ისევ გამოეცხადებოდა მარტოხელა ქალიშვილს და გაანდობდა ნაფიქრალს, რამე ხანუგეშის, წამალივით სიტყვას მაინც შემოაშველებდა თავის ერთადერთ საფიცარს — სამშობლოს — მისი „კაცობის ვეირგვინს.“

უშაყველო ქალი ულექსოდ სად გაგონილა და გულქანიც ძალას ატანს დაუძლურებულ მეხსიერებას; ხალხური და მისი მამის მარგალიტები ერთმანეთს ენაცვლება. მერე სტუმარს სთხოვს, იმანაც უთხრას რამე თუშურ კილოზე, რომელსაც „წყაროს ლაკლიკს“ ადარებს.

ეთერიც უკითხავს თავის ერთ უმშვენიერეს, წუთისოფლის სამდურავად ნათქვამ ლექსს, გულქანის გუნებ-განწყობილებას ზედგამოჭრილად რომ ეხადაგება:

დიდხნის ნადებ თოვლისავით
ვარ ერთთავად მდუმარ,
იმ თეთრ საფარველსავით
წუთისოფლის სტუმარ.
სამოკლეო სიცოცხლისა
დღედა მშიერ, მუმობარ,
იამ დაღლოცვილ მიწისა
ერთ სამარით მჭკობარ.

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

გაგრძელება იქნება



ემზარ კვიტაიშვილი

# რატომ არ მოვკვდი წინათ

უკვდავი სახელები

## ქორწილი შალაურში

მიმდინარე საუკუნის ოციანი წლებია. მედეა ჯაფარიძის ნათლიამ, ექიმმა გრიგოლ აბდუშელიშვილმა, ცოლად მოიყვანა ქუთაისში თავისი სილამაზითა და სათნოებით სახელგანთქმული ნინო ცაგარელი და მთელი ზემო იმერეთიც აალაპარაკა.

ქორწილი იყო ნამდვილი, ძველი, ტრადიციული, ქართული ქორწილი — როცა სტუმრადწვეულ პატივისმცემლებს, როგორც ახლა, საჩუქრებისა და ფულის ბეგარას კი არ ახდევინებდნენ, არამედ პირიქით, უაღრესი მოწიწებითა და რიდით გამორჩეულ პატივს სცემდნენ და საჩუქრებს თვით მათ ურიგებდნენ. ჯერ იყო და ჩამოსულ სტუმრებს უკვე შორაპნის მატარებელში დახვდა სიურპრიზი — მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ვაგონში ყველას ელოდა მომცრო ტიკჭორით ტკბილი ღვინო, კაკლის ფოთოლში გახვეული ტაბაკები, ხაჭაპურები, ნაზუქები, გომიჯები და ხილი. ცხადია, მთელი გზა შორაპნიდან საჩხერემდე ქეიფსა, ლხინსა, სიმღერასა და ოხუნჯობაში ჩაილია. მერე უკვე შალაურში სუფრას რომ მიუსხდნენ, ყველა მანდილოსანს ელოდა ვარდების თაიგული, ხოლო ყველა მამაკაცს მოზვრის მოხევადებული ყანწი; ყველაზე უფრო მოლხენი სტუმრისთვის კი — ვინც სხვაზე უკეთ იტყოდა სადღეგრძელოს, ყველაზე მეტს მოილხენდა, იმღერებდა, იცეკვებდა და იოხუნჯებდა — ბუხრის თავზე ვერცხლის თასი იდგა და ყველა თავმომწონე ვაჟკაცს მისკენ ეჭირა თვალი.

ქორწილს 200-მდე სტუმარი ესწრებოდა. ეზოში, უზარმაზარი კაკლის ქვეშ, ახალგაზრდებს გაუშალეს სუფრა; დიდ დარბაზში კი განსაკუთრებით პატივსაცემი სტუმრები იწვიეს. დუდუკის ჯადოქარი სინო ზუბიაშვილი წინა დღეს ამოსულიყო და საოცარი საცეკვაოები, მგონი, გალმა სოფლელებსაც კი ხათამაშოდ უტოკებდნენ გულს.

თამადა ცნობილი ჯიბო იაშვილი იყო (პაოლო იაშვილის მამა). თვით დარბაზში, მთელ სიგრძეზე ორი მაგიდა იყო გაშლილი, რომელთა შორის საკმაოდ ხალვათად შეიძლებოდა ხელის გაშლა და ცეკვა-თამაში. დარბაზის ბოლოს გიგოს უფროსი ძმა ნიკოლოზ აბდუშელიშვილი ამშვენებდა, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო საქართველოში და თავისი ოჯახითა და ავლა-დიდებით დროებით შალაურში ჰქონდა ჩაშვებული ღუზა. თავისი ჩოხა-ახალუხი და ქამარ-ხანჯალი მან სიძეს უფეშქაშა, თვითონ კი შავ სმოკინგში იყო გამოწყობილი და არაფერი ჯობდა მის ნახვას. ეს ის ნიკო აბდუშელიშვილია, რომლის სურათებს, როგორც სუვენირებს, ისე იტაცებდნენ ოდესელი „კურსისტკები" ლანჟერონის ფოტოგრაფიიდან, ხოლო როცა შემდეგ ფოთში ყოფნისას, ნასადილევს ცხენით გაისეირნებდა სანაპიროსკენ, მთელი ფოთის საზოგადოება და განსაკუთრებით კი კოლხი ლამაზმანები უკლებლივ გამოეფინებოდნენ ხოლმე პორტის ბულვარზე.

სინო მეზურნის დასტა ახალი საცეკვაოს გასაწყობად ემზადებოდა, როცა ნიკომ თავის მეუღლეს ხმადაკლებულად რაღაცა უთხრა, მერე სინო იხმო და იმასაც ყურში რაღაც ჩასჩურჩულა — მარიკაცა და სინოს დასტაც ზურაბის ოთახში გაუჩინარდნენ და როცა ნიკო მთელი თავისი ორმეტრიანი ახოვანებითა და ლაზათით წამოიმართა და პატარძლისკენ დაიძრა; ზურაბის ოთახიდან იმ ხანებში საოცრად პოპულარული ვალსის — „მანჯურიის ბორცვების" — მომაჯადოებელი მელოდია გაისმა. დარბაზში გაოცების ტალღამ გადაიარა. ფორტეპიანოსთან რომ ნიკოს მეუღლე მარიკა იჯდა ამას ყველა მიხვდა, მაგრამ ორკესტრი რომ სინოს ჯადოქრობა იყო, ეს ბევრმა ვერ გაიგო მაშინ. უზარმაზარი წრე უცებ დაიცალა და ყველა სუნთქვაშეკრული უყურებდა ნიკოს, რომელიც სახეგალიმებული მიუახლოვდა ნეფე-პატარძალს და

— გიგო, შენ თუ არ გამიჯავრდებიო, — მაგრამ გიგოს თვალებში აღტაცების ნაპერწკლებს რომ წააწყდა ახლა პატარძლისკენ დაიხარა და

— Нина Мелитоновна, прошу Вас, только один круг - не откажите страждущему в любезности!

ნინო ცაგარელი კი, რომელიც იმ დროს ქუთაისში პირველი ხსნიდა ხოლმე სამეჯლისო ცეკვებს და, ამბობენ, არც შესახედავად უდებდა ტოლს თავის იმდღევანდელ კავალერს, ამასღა ელოდა, ერთი კი ახედა თავის შავჩოხიან ნეფეს და მერე სახეგაბრწყინებულმა ორივე ხელი გაუწოდა მაზლს... და როცა ეს ცეკვას მოწყურებული წყვილი წრეში შეცურდა, ტაშმა იგრიალა, აღტაცებული „ბრავო" დიდხანს ისმოდა დამსწრეთა შორის და მხოლოდ დიდხანს გაგრძელდეს ეს საოცარი სანახაობა, ნატრობდა ყველა.

ნიკომ თავის სიტყვა შეასრულა, არ დაღალა პატარძალი და ნასიამოვნები დაუბრუნა სიძეს, მაგრამ სწორედ აქ მოხდა მოულოდნელი რამ: დაჯდა თუ არა პატარძალი, ნეფე წამოდგა და სალერღელაშლილმა დაიძახა:

— სინო, აბა ერთი ჩვენებური ქართულიც შეგვაწიეთ და როგორც კი დამკვრელებმა დარბაზს ჭერი ახადეს, გაშალა თავისი ვეება მკლავები და წრეში გავიდა. ყველა დაიძაბა: ნეტა, იმ წყვილის შემდეგ ვის აირჩევსო ნეფე-ბატონი? ნეფემ კი ერთხელ ჩამოუარა წრეს, მერე ნელი რხევით გაემართა მეორე სუფრის ბოლოსკენ, სადაც პატარა მედიკო ეჯდა დედამისს კალთაში და

— ჩემი ნათლული გამოატარეთო! — დაიძახა... აქ კი ისევ იგრიალა ტაშმა, მედიკოს თვალები გაუბრწყინდა თურმე, დიდი ქალივით შეიფერა გამოწვევა, თმები მხრებზე გადაიყარა, იქვე გაშალა ხელები და მერე, როგორც



მედეა ჯაფარიძე. მხატვარი ქ. მაღალაშვილი

ფრთაგაშლილი ანგელოზი, წინ გაუძღვა თავის მოცეკვავე გოლიათს... დიდხანს, დიდხანს ისმოდა კმაყოფილების, აღტაცებისა და აღფრთოვანების შეძახილები და ბოლოს, როცა სინოს დუდუკმა უკანასკნელად გახია ჭერი და ერთობლივმა ბრავომ შეაზანზარა გაჩირაღდნებული ბრინჯაოს ჭაღი, გიგომ ხელში აიტაცა თავისი პაწაწინა „დამა", გულში ჩაიხუტა, დაკოცნა და ასე ციმციმ მიუყვანა თავის „დედოფალს" და კალთაში ჩაუსვა. კოცნა, ალერსი და აღტაცება არც პატარძლისგან დაჰკლებია პატარა ანგელოზს, მაგრამ, ღმერთო მაპატიე, მე მგონი, დედას მაშინვე გაუჩნდა თავისი უასაკო მეტოქისადმი სიყვარულის გარდა რაღაც სხვა გრძნობაც, რადგან როცა შემდეგ აღტაცებულები ვლაპარაკობდით ხოლმე მედეა ჯაფარიძის სწორუპოვარ სილამაზეზე, ის როგორც წესი ჩაურთავდა:

— მაშინაც და მერეც, თუ დამიჯერებთ, მედიკოს დედამისი ჯობდაო შესახედავად.

ჩვენ, ცხადია, არ გვჯეროდა ეს.

ერთი წლის შემდეგ კი გრიგოლ აბდუშელიშვილმა არგვეთიდან სახელგანთქმული ბებიაქალის გარდა, პატარა მედიკო ჯაფარიძეც დაიბარა თურმე — თუ გოგონა გაჩნდა, პირველად მან დახედოს ჩემს პირმშოს, ვინძლო მისი ღვთაებრივი სილამაზის ნაშუქი დაებედოსო მას. გრიგოლ აბდუშელიშვილი სრულებითაც არ იყო ამ შემთხვევაში გამონაკლისი... გამიგონია, ზაფხულობით მედეა ჯაფარიძეს იმ ბებიაქალზე ნაკლები ჯაფა როდი ადგა თურმე და იქნებ ამიტომაც ჩემს ყმაწვილკაცობაში, როცა არგვეთში მიხდებოდა ხოლმე ყოფნა, ისეთ ქალიშვილებს ვხვდებოდი, რომ აღტაცებით სულ ელეთ-მელეთი მემართებოდა და თუ მათში მაინც არც ერთი არ იყო მედეა ჯაფარიძე — ეს მარტო მისი ბრალი არ უნდა იყოს, მგონი.

### პაწაწინა პაციენტი

ბავშვობისას მშობლებს თითქმის ყოველ ზაფხულს მამისეულ სოფელ შალაურში დავყავდით ხოლმე დასასვენებლად. ჩვენთვის ეს ყოველთვის დიდი ზეიმი იყო, რადგან სწორედ აქ ვიყრიდით თავს კარგა ხნის უნახავი ნათესავები და იყო საერთო სიხარული, სიყვარული და დროსტარება. ქალაქელ პატარებს განსაკუთრებული ყურადღებით გვანებივრებდნენ. კვირაობით ჩვენი მამა-ბიძებიც ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩვენს სანახავად და თუნდაც ერთი დღით დასასვენებლად თუ დროსხატარებლად — ამიტომ, არც გასაკვირია, რომ ყოველ კვირა დილას ჩვენც ისე ველოდით, როგორც დღესასწაულს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ლაშურის ღელეში, ბევრი წავიდა ამ ქვეყნიდან, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ზაფხულის ის ნათელი დღეები ნათელ მოგონებად ჩაიძირა ჩემს ხსოვნაში და ახლა უკვე ვეღარაფერი შეეხება მათ.

ერთ-ერთ ამისთანა ზაფხულის დილას...

ეზოში ატეხილმა ხმაურმა და ალიაქოთმა გამომაღვიძა. ვიღაც შაოსან და ახოვან ქალს ხელში ატატებული გოგონა მოჰყავდა და

— მიშველე გიგო, მიშველე, შენი ჭირიმე, დაგვღუპა ამ ბოვშვმა, ლობიოს მარცვალი შეუკვეხებია ცხვირში და მთელი ღამე არც მას ძინებია, არც ჩვენ, სული ეხუთებოდა, კინაღამ ჩაგვაკვდა ხელში... მიშველე გიგო, შენი ჭირიმე, მიშველე, თორე დევიღუპეთ და ეს არის!..

ამ წიოკ-წიოკზე ჩვენც გამოვცვივდით — აქ ძია ყარამანი გამოჩნდა, იქ ძია ვასო, ყველა ვინც კი იყო სახლში, დიდი და პატარა, ყველამ კაკლის ქვეშ, ეზოში მოიყარა თავი და როგორც მხსნელს, ისე მიაჩერდნენ ერთი დღით დასასვენებლად ჩამოსულ ექიმს.

მეც შევხედე მამაჩემს და შემეშინდა...

ის რაღაც ავი თვალით უყურებდა პატარა პაციენტს და თითქოს ძნელ ფიქრს ებრძვისო, შუბლს იხრესდა, მერე მძიმედ ჩამოიღო შუბლიდან თავის ვეება ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა...

— რას სჩადიხარ ადამიანო! — არაადამიანური ხმით იღრიალა ძია ვასომ და

— Гиго, ты из ума выжил!-ო, — შეჰკივლა დედაჩემმაც. მაგრამ როცა პატარა ავადმყოფს სისხლი წასკდა ცხვირიდან და სისხლს გაბერილი ლობიოს მარცვალიც გამოჰყვა თან, მაშინ კი ყველამ შვებით ამოისუნთქა... მაგრამ სწორედ აქ მოხდა უცნაური გარდასახვა — პირგამეხებული ექიმი აკანკალებულ „ძია გიგოთ" იქცა, დაავლო ხელი ატირებულ პაციენტს, გულში ჩაიკრა, სირბილით მიიყვანა პირსაბანთან, სათუთად მობანა პირისახე და თან როგორც დიდმა დამნაშავემ არაჩვეულებრივი სითბოთი და სიყვარულით მოიბოდიშა მასთან.

— მაპატიე, ჩემო გოგო, მაპატიე, შენი ჭირიმე — მე აქ სრულიად უიარაღოთ ვარ, არც პინცეტი მაქვს, არც ლანცეტი, არც ნემსი და არც წამალი, რა მექნა, დაგვიანება არ ივარგებდა... რატო ხელი არ შემახმა... მაპატიე, ჩემო გოგო, მაპატიე ღვთის გულისათვის!

პატარა პაციენტი ჯერ შეშინებული უყურებდა თავის გულაჩუყებულ ნათლია-ექიმს, მერე რაღაცას მიხვდა, თავისუფლად ამოისუნთქა, კისერზე ხელები შემოხვია მას და აკოცა. როლები შეიცვალა, პაციენტი აღარ ტიროდა, სამაგიეროდ ექიმს ჩამოსდიოდა ცრემლები და ლაპალუპით ეცემოდა სახეგაბრწყინებული გოგონას ვარდისფერ კაბას.

ჩვენც ყველანი დამნაშავეებივით ვიდექით კაკლის ქვეშ, ჩვენც ვიცინოდით, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, გულაჩუყებულებს ერთი ცრემლი გვერჩია ამ სიცილს.

და ის დღეც ქეიფსა, ლხინსა და დროსტარებაში ჩაიძირა ბოლოს...

ეეჰ! როგორა სთქვა პოეტმა?.. „სულ ყველაფერი გაივლის ბოლოს და რაც გაივლის ის ძვირფასია"-ო.

ალბათ!..

მალხაზ აბდუშელიშვილი

მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრი კოლექტიური ხელმძღვანელობის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. თავდაპირველად ეს იყო ხუთი კაცისგან შემდგარი საბჭო, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ კოლექტიურ ხელმძღვანელობას არ მოაქვს სასურველი შედეგი. გადაწყდა – მხატვრული ხელმძღვანელობა დაეკისროს უშანგი ჩხეიძეს, მთავარი რეჟისორის მოვალეობა კი დოდო ანთაძეს. სამხატვრო საბჭო აერთიანებდა თეატრის წამყვან ძალებს. ახმეტელის შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა აკაკი ვასაძე. ამგვარად, ქართული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილება – დიდ რეჟისორთა მიერ დამკვიდრებული მთლიანმხატვრული ანსამბლური სპექტაკლების დადგმა უნდა გაეგრძელებინათ იმათ, ვინც პროფესიით არ იყო სპექტაკლის შემქმნელი, არ იყო რეჟისორი, იყო მსახიობი. ეს ორი სხვადასხვა პროფესიაა და განსხვავებულ ნიჭსა და უნარს მოითხოვს. რეჟისორი ერთობლივი შემოქმედების ორგანიზატორია, მსახიობი – ინდივიდუალური შემოქმედი. ამგვარი შენაცვლება, ცხადია, თეატრის სახესაც შეცვლიდა აუცილებლად, თუნდაც იმით, რომ წმინდა რეჟისორული სახეობრიობა გაიშვიათდებოდა და მხატვრული ზემოქმედების ეს ძალა მოაკლდებოდა თეატრს.

საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფერო ამ დროს წინარე წლების ბუნებრივი გაგრძელებაა, სიფრთხილე, მლიქვნელობა, საკუთარი და ახლობელთა განადგურების შიშით აღმოცენებული უენო მორჩილება. ბედნიერი ბრუნდებოდა შინ მხოლოდ იმის გამო, რომ ის არსებობს და აღარ ფიქრობდა იმაზე, რომ აქ ყოფნას ეგებ არყოფნა სჯობს. ოჯახებში კი შიშით შეპყრობილი ჯერჯერობით თავისუფალი ადამიანები წვავდნენ წიგნებს, ჟურნალებს, წერილებს, დღიურებს, სურათებს – ვის ახსოვდა მაშინ, რომ ამით დროის ამსახველი, ისტორიისთვის აუცილებელი დოკუმენტები ნადგურდება...

ასეთ ცხოვრებისეულ გარემოში იდგმება რუსთაველის თეატრში ალ.სუმბათაშვილის „ღალატი“ და ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“ – ორივე ნაწარმოები საქართველოს გმირულ წარსულზე, სამშობლოს სიყვარულზე, მისთვის თავდადებასა და თავგანწირვაზე. მაყურებელი სცენაზე ხედავდა სულით ძლიერ ადამიანებს. ძალზე საჭირო იყო იმ დროს მათთან შეხვედრა, გამამხნევებელი, მაღალზნეობის გამღვიძებელი. მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ლარდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ და ა.დიუმას „მარგარიტა გოტიე“. ორივე ძალზე მნიშვნელოვანი. ერთი იმით, რომ თეატრში მოვიდა ახალგაზრდა რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, რომელმაც სოციალური პრობლემატიკით დატვირთული ნაწარმოები განახორციელა. სოციალური პრობლემატიკა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია მუდამ. მით უფრო, თუ მაღალია მისი მხატვრული დონე, როგორც ეს იყო ამ შემთხვევაში. კიდევ ერთხელ მთელი ძალით წარმოჩინდა მარჯანიშვილის თეატრის დასის შემოქმედებითი სიძლიერე7 ამ სპექტაკლით ისინი თვალს უხელდნენ მაყურებელს იმაზე, თუ რა დამღუპველია ფულის მონობა, მაშასადამე, საერთოდ მონობა.

მეორე სპექტაკლი – „მარგარიტა გოტიე“ იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ დაიბადა ვერიკოს მარგარიტა, უბრწყინვალესი მხატვრული სახე, რომლის განსახიერებისას მსახიობის მოქალაქეობრივი პოზიცია და მისი აქტიორული მასშტაბები ავტორზე ძლიერი აღმოჩნდა. მელოდრამა ფრანგი კურტიზანი ქალის დიდი სიყვარულისა და კეთილშობილების შესახებ აჟღერდა როგორც საბრძოლო მოწოდება ადამიანის ღირსების დასაცავად. ამაზე დიდი პროტესტი არსებული სინამდვილისადმი იმ წლების ქართულ სცენაზე არ გაჟღერებულა. ჰქონდა კიდეც წარმატება არაჩვეულებრივი. გამოძახილიც არაჩვეულებრივი. მაგრამ ამ სპექტაკლის მაყურებლის ცრემლის გამომწვევი იყო არა გმირის ცხოვრების გულისამაჩუყებელი ამბავი – ეს ცრემლი იყო ნიშანი უსამართლოდ ტანჯული ადამიანისადმი უდიდესი თანაგრძნობისა და თანადგომისა, რაც სულის განმწმენდ ცრემლს უთუოდ სულის განმწმენდ ფიქრსაც მოაყოლებდა. სწორედ ეს, სულის აღზევებით აღმოცენებული ფიქრია ხელოვნების ყველაზე დიდი მონაპოვარი.

ამნაირ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ამნაირ თეატრს დაატყდა თავს მეორე მსოფლიო ომი. ელვისებრ იცვალა სახე ცხოვრებამ. სხვაგვარი გახდა ყველაფერი: არსებობის რიტმი, საზრუნავის შინაარსი, ადამიანთა სახის გამომეტყველება. ქალაქი მიჩუმდა, ჩამობნელდა, ლურჯი ნათურების მბჟუტავ შუქს მიანდო თავი. განგაშისა და შფოთის გარეშე უკვე აღარავინ ცხოვრობდა, არც ფრონტიდან გადმოცემულ ცნობათა გარეშე. შეიცვალა ცხოვრებისეული მიზნები, ოცნებები და გეგმები. საერთო უბედურებამ ხალხი გააერთიანა. თეატრში კი მაყურებელი უფრო აქტიური გახდა, დარბაზი გაჭედილი იყო დილისა და საღამოს ყველა წარმოდგენაზე. მოდიოდნენ იმისთვის, რომ სამშობლოსთვის თავგანწირულ ადამიანთა ხილვით სულიერ ძალიან აუცილებელი მარაგი მიეღოთ. თეატრიც ცდილობდა. ამას ადასტურებს იმ წლების რეპერტუარი: ვ.დარასელის „კიკვიძე“, ფ.ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, გ.მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისკენ“ და „მოსკოვის ბჭესთან“, არბუზოვსკისა და მ.კაცის „ოტეკო დუნდიჩი“, ი.ხელვინსკის „გენერალი ბრუსილოვი“ და სხვ. რუსთაველის თეატრში ნ.პოგოდინის „კრემლის კურანტები“, კ.ფინის „ბერლინის გასაღები“, გ.ქურულის „მილიონთა რისხვა“, ლ.გოთუას „უძლეველნი“, გ.მდივნის „პარტიზანები“, კ.სიმონოვის „მელოდე“ და სხვ. მარჯანიშვილის თეატრში შიგადამიგ ქართული და უცხოური კლასიკა (კ.გოლდონის „სასტუმროს ქალი“, ვ.ჰიუგოს „რუი ბლაზი“ და სხვ.).

ისტორიული პიესები (დ.ერისთავის „სამშობლო“, ლ.გოთუას „მეფე ერეკლე“, მიხ.ჯავახიშვილის „ჟამთაბერის ასული“ და სხვ.). როგორც ვხედავთ, ორი აკადემიური თეატრის შემოქმედთა დიდი რაზმი თავდაუზოგავად ემსახურება ომში ჩათრეულ გაჭირვებულ თავის ქვეყანას. რეჟისორები: ვ.ყუშიტაშვილი, შ.აღსაბაძე, დ.ალექსიძე, გ.ჟურული, ს.ჭელიძე, ბ.გამრეკელი, ე.ტაბლიაშვილი. წარმოდგენებს დგამენ მსახიობებიც: ა.ვასაძე და ა.ხორავა რუსთაველის თეატრში. შ.ღამბაშიძე მარჯანიშვილის თეატრში. ნიშანდობლივია, რომ ქართული თეატრის ცხოვრების ეს საფეხური, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არ გამოირჩევა ძალზე თვალსაჩინო რეჟისორული მიღწევებით. უფრო თემატიკის აქტუალობით და მსახიობთა სცენური სახეებით გამოირჩევა. ამ წლებში შეიქმნა ა.ვასაძის კიკვიძე, ბ.ზაქარიაძის ოტეკო დუნდიჩი, ს.ზაქარიაძის რუი ბლაზი და ბაგრატიონი, ვ.გოძიაშვილის მეფე ერეკლე, ვ.ანჯაფარიძის ჯავარა, ანო და მაყვალა, ა.ხორავას ივანე მრისხანე, შ.ღამბაშიძის სოლომონ ისაკიჩი, ს.თაყაიშვილის უჯლიეტას ძიძა, ე.ყიფშიძის ნუცკია, ე.მაღალაშვილის აკმია. სცენაზე პირველად გამოჩნდა მედეა ჯაფარიძე. ითამაშა გულსუნდა ვაჟა ფშაველას „მოკვეთილში“ და შექსპირის ჯულიეტა. თეატრის მხატვართა სიმრავლეც შეინიშნება. უკვე ცნობილთა გვერდით გაჩნდა ახალი სახელები: ირ.შტენბერგი, ს.ვირსალაძე, თ.აბაკელია, დ.თავაძე, ი.სუმბათაშვილი, ფ.ლაპიაშვილი და სხვ. სპექტაკლებისთვის მუსიკას წერენ: კ.მეღვინეთუხუცესი, ი.ტუსკია, ა.ბალანჩივაძე, რ.გაბიჩვაძე, ი.გოკიელი, ა.კერესელიძე, დ.თორაძე. კვლავაც აქტიურად მოღვაწეობს ქორეოგრაფი დ.მაჭავარიანი.

სანამ ომი მძვინვარებდა, საომარმა მოვლენებმა ერთგვარად გადაფარა წინა პერიოდის საშინელი რეპრესიები, მაგრამ დამთავრდა თუ არა ომი გამარჯვებით, რეპრესიები ისევ დაიწყო. წელს ქვეყნდება დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ. 1948 წელს - "ვ.მურადელის ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ, 1949 წელს – დადგენილება ჟურნალ „ზნამიას“ შესახებ და ბოლოს – უზარმაზარი სარედაქციო წერილი „პრავდაში“ თეატრის კრიტიკოსთა ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის შესახებ“. მათ ბრალი ედებოდათ აპოლიტიკურობაში, ესთეტიზმსა და ფორმალიზმში. ამი გამო ჩამოართვეს სამეცნიერო ხარისხები და წოდებები, მათი წიგნები ბიბლიოთეკებში არ გაიცემოდა.

საქართველოში ამგვარი კამპანია არ ჩატარებულა. რუსეთის თეატრალური კრიტიკა თითქმის მთლიანად ებრაელი ეროვნების სპეციალისტებისგან შედგებოდა, საქართველოში კი ანტისემიტიზმი თვით საბჭოთა წყობილებამაც კი ვერ გაღვივა.

ზემოხსენებული ყველა სამთავრობო დადგენილება ომშისშემდგომი წლებისა და მოიცავს ორმოციანი წლების შუაწელსა და დასასრულს. ისინიც აჭრელებულია ნაცნობი ტერმინებით: შეწყდეს, დაიშალოს, აიკრძალოს, დაიხუროს...

მიუხედავად ყველა სირთულისა, ქართული თეატრი მაინც ცოცხლობს. არა მარტო იმით, რომ თავისი რეპერტუარით ეხმიანება დროს, არამედ მხატვრული მიღწევებითაც. მხატვრული დონით იყო გამორჩეული გოლდონის „სასტუმროს ქალი“. ის დ.ალექსიძის დადგმული იყო, მისი ბრწყინვალე სცენოგრაფია კი ირ.გამრეკელის უკანასკნელი ქმნილება. იმავე დ.ალექსიძემ დადგა ათწლეულის მაწყურულს მიხ.მრევლიშვილის „ნაპოლეონის“ ლი“. სცენაზე პირველად გაცოცხლდა დიდი პოეტი. მასთან ერთად დაიბადა მისი განმსახიერებელი ახალგაზრდა მსახიობი გიორგი გეგეჭკორი. სადიპლომო სპექტაკლებით რუსთაველის თეატრში მოვიდა ორი ახალგაზრდა რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი და აკაკი დვალიშვილი. მარჯანიშვილის თეატრსაც ორი ახალგაზრდა რეჟისორი შეემატა – ლილი იოსელიანი და გიგა ლორთქიფანიძე. მათ ჯერ არავინ იცნობს, მაგრამ სულ მალე ეს თაობა იტყვის თავის სათქმელს, რადგან თან მოიტანს იმას, რაც არის საწყისი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა ხელოვნებაში – ზნეობრივ იდეალს და საკუთარ შემოქმედებით რწმენას.

ნათელა ურუშაძე

## სახლი სათამაშო

# ომი და თეატრი

### საუბარი მეჩვიდმეტე





### 3 სექტემბერი სან-მარინოს რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულია

# სან-მარინოს რესპუბლიკა

სან-მარინო სახელმწიფოა სამხრეთ ევროპაში. აპენინის ნახევარკუნძულზე. მისი ტერიტორია აკრავს. ფართობი 61 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა კი 22 ათასი კაცი. დაახლოებით 20 ათასი კაცი უცხოეთში ცხოვრობს. ისინი წარმომავლობით ახლოს არიან იტალიელებთან, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ ეთნოსად ითვლებიან. დედაქალაქია სან-მარინო, სადაც 4,7 ათასი კაცი ცხოვრობს. რელიგია — კათოლიკურია, ეროვნული დღესასწაული კი რესპუბლიკის დაარსების დღე (301 წ.) — 3 სექტემბერი. ოფიციალური კალენდარი გრიგორიანულია, აქვეთ ადგილობრივი კალენდარიც, რაც ახ.წ. 301-დან მომდინარეობს. ფულის ერთეულია იტალიური ლირა. ადმინისტრაციულად 12 ოლქად იყოფა.

სან-მარინო რესპუბლიკაა; ხოლო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დიდი გენერალური საბჭო (ერთპალატიანი პარლამენტი. ირჩევენ 5 წლის ვადით). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია ორი თანასწორუფლებიანი კაპიტან-რეგენტი, რომლებსაც დიდი გენერალური საბჭო ირჩევს 6 თვის ვადით. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ კაპიტან-რეგენტები სახელმწიფო კონგრესთან (მთავრობასთან) ერთად.



სან-მარინოს ისტორია 301 წლიდან იწყება. იგი დაუარსებია დალმაციიდან რელიგიური დევნის გამო გამოქცეულ ქრისტიან მარინოს, შემდეგში იგი წმინდანად შერაცხეს და აქედან არის თავსართი „სან“ („წმინდა“). სან-მარინო რესპუბლიკად პირველად X ს. საბუთებში იხსენიება. 1909 წელს შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო უფლება მამაკაცებისთვის, ქალებისთვის კი — 1960 წელს. პირველ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე იბრძოდა და 15 ჯარისკაცი გამოიყვანა. 1923 წელს ძალაუფლება ფაშისტებმა იგდეს ხელთ. მეორე მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტი გამოცხადდა, მაგრამ 1944 წლის ივნისში ინგლის-ამერიკის ავიაციამ მაინც დაბომბა, ხოლო სექტემბერში გერმანიის ჯარებმა მოახდინა მისი ოკუპაცია. 1945 წლის პარლამენტის არჩევნებში ანტიფაშისტური პარტიების ბლოკმა გაიმარჯვა. ახლა კი კოალიციური მთავრობაა, სადაც შედიან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები.

სამრეწველო წარმოება აკმაყოფილებს საშინაო მოთხოვნილებას. განვითარებულია ტურიზმი. განვითარებულია საფეიქრო, ცემენტის, ქაღალდის, ტყავის, ავეჯის წარმოება. სასოფლო სამეურნეო მიწების ფართობია დაახლოებით 1 ათასი ჰა. არის მარცვლეულის ნათესები, ვენახები. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა უმთავრესად იტალიასთან აქვს. სახელმწიფოს ფულადი შემოსავლის დაახლოებით ნახევარს იძლევა უცხოური ტურიზმის (დაახლოებით 3 მილიონი ტურისტი წელიწადში), საფოსტო მარკებისა და სუვენირების გამოშვება.

სან-მარინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი შეზღუდული ხასიათისაა. რესპუბლიკას უფლება არ აქვს ჰქონდეს საბაჟოები, გამოუშვას ფული, ჰქონდეს საკუთარი რადიო და ტელესადგურები, მოიყვანოს თამბაქო, აწარმოოს თამბაქოს ნაწარმი და ღვინის სპირტი, სამაგიეროდ ყოველწლიურად იტალია უხდის კომპენსაციას.

რესპუბლიკაში ყველა სკოლა სახელმწიფოა. 6-დან 14-წლამდე ასაკის ბავშვთა სწავლება სავალდებულოა. დაწყებითი სკოლა ხუთწლიანია, საშუალო სკოლა კი მოიცავს სამწლიან არასრულ სწავლებას და ხუთწლიან სრულ განათლებას.

დედაქალაქი მჭიდროდ არის განაშენიანებული და შეფენილია მთის ფერდობზე ტერასებად, სადაც გალავნით გარშემორტყმული 1-3 სართულიანი შენობები დგას.

დათუნა ბარნაველი

## O TEMPORA, O MORES!

### 2 სექტემბერი

1794 — დაარსდა ქალაქი ოდესა.

1905 — 90 წლის წინ დაიბადა თამარ აბაკელია, მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (გარდაიცვალა 1953 წელს).

1925 — 70 წლის წინ დაიბადა ეთერ გუგუშვილი, თეატრმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

1945 — იაპონიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი.

1968 — სალტენი, ვაშინგტონის შტატი. გაიმართა სამდღიანი The Sky River Festival, მონაწილეობდნენ: კარლოს სანტანა, Country Joe The Fish, The Graeteful Dead, The Yangbloods, მადი უოტერსი, რემბლინ ჯერე ელიოტი, Big Mama Torton, It's A Beautiful Day.

1991 — თბილისში გაიმართა ოპოზიციის მიტინგი, რომელიც „ომონმა“ დაარბია. დაიწყო მასობრივი გამოსვლები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის წინააღმდეგ.

### 3 სექტემბერი

1880 — 115 წლის წინ გარდაიცვალა მარი ბროსე, ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი (დაიბადა 1802 წელს).

1932 — მოკლეს პავლიკ მოროზოვი.

1939 — პოლონეთის მოკავშირეებმა საფრანგეთმა და ინგლისმა ომი გამოუცხადეს გერმანიას.

1944 — ბრიუსელისა და ბელგიის დიდი ნაწილი გაათავისუფლეს ფაშისტი ოკუპანტებისგან.

1965 — ვენეციის კინოფესტივალზე მოეწყო ლუკინო ვისკონტის ფილმის „დიდი დათვის ნისლიანი ვარსკვლავების“ პრემიერა. მთავარ როლში კლაუდია კარდინალე მონაწილეობდა.

### 4 სექტემბერი

1837 — ამერიკელმა გამომგონებელმა სემიუელ მორზემ (1791-1872) გამოაცხადა ახალი გამოგონების ელექტრომექანიკური სატელეგრაფო აპარატის შესახებ. შემდეგ წელს შეიმუშავა სპეციალური კოდი, ე.წ. მორზეს ანბანი.

1924 — ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმმა დაიკავა დუშეთი, თბილისზე შეტევა მათ ვერ განახორციელეს. აჯანყება დამარცხებული იყო, „შეფიცულთა“ რაზმი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო.

1945 — 50 წლის წინ დაიბადა გალინა პატარიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

1965 — 30 წლის წინ გარდაიცვალა ალბერტ შვაიცერი, გერმანულ-ფრანგული წარმოშობის მოაზროვნე, თეოლოგი, კულტუროლოგი, ექიმი, ჰუმანისტი, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი.

1885 — 110 წლის წინ დაიბადა გერონტი ქიქოძე, ცნობილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე.

## წინაპრები

# მიტროფანე ლალიძის ხსოვნას ეს არ ეკადრება

### 1. აუცილებელი წინათქმა

ბატონ მიტროფანე ლალიძის ხსოვნის მრავალრიცხოვან პატივისმცემლებში გაკვირვებას იწვევდა და იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ბოლშევიკური ოკუპაციის დროს დარბეული მიტროფანე ლალიძის საერთაშორისო აღიარების მქონე (1900 წლიდან) „ხილის ხელოვნური, მინერალური და სამკურნალო წყლების" ფირმის აღდგენას კვლავ დაბრკოლებები გადაეღობა. ამას ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდით, მაგრამ გაზეთ „თბილისში" მიტროფანე ლალიძის შვილიშვილის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის — ბატონ ჯუანშერ ლალიძის წერილის — „უქირს ლალიძის წყლებს", წაკითხვის შემდეგ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

### 2. ზოგიერთი რამ იმის შესახებ, რაც, სამწუხაროდ, დღეს ბევრმა არ იცის

ბატონ მიტროფანე ლალიძეს ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს, ქართველ ბიზნესმენთაგან, დავით სარაჯიშვილის მსგავსად, თანამგრძნობი პოზიცია ეკავა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პლატფორმის მიმართ. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქართველი სოციალ-დემოკრატიის ლიდერებთან ნოე ჟორდანიასთან, ნოე რამიშვილთან, კარლო ჩხეიძესთან, აკაკი ჩხენკელთან, რაჟდენ არსენიძესთან, ევგენი გეგეჭკორთან, ვლასა მგალობლიშვილთან. თანადგომას უწევდა მათ სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო კამპანიის დროს.

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, როდესაც რუსეთის იმპერიის მასშტაბით რამდენჯერმე გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა, დავით სარაჯიშვილის და მიტროფანე ლალიძის ქარხნები ერთადერთნი იყვნენ (შესაძლებელია მთელი იმპერიის მასშტაბითაც), სადაც მუშები არ გაფიცულან. მათთან მოსულ რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენლებს პასუხად იმისა, თუ რატომ არ იფიცებიან ხსენებულ ქარხანათა მუშა-მოსამსახურეები — უპასუხებდნენ, რომ ის მოთხოვნები, რასაც საყოველთაო გაფიცვის ორგანიზატორები უყენებდნენ მთავრობას, მათთან დიდი ხანია შესრულებულია — კერძოდ, ისინი სარგებლობენ 8 საათიანი სამუშაო დღით, აქვთ მაღალი ხელფასი, ავადმყოფობის შემდეგად გაცემენის ფასიანი ანაზღაურება და ფასიანი შვებულება.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბატონი მიტროფანე ლალიძე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა და დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე მხარში ამოუდგა ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილს არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარებაში, არამედ, რაც მთავარია, საქართველოსთვის საჭირო და აუცილებელი დემოკრატიული პოლიტიკის გატარებაში. ბატონი მიტროფანე ლალიძე აქტიურად ამოუდგა გვერდში ნოე რამიშვილს (რომელიც როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ხსენებული ღონისძიებების გატარებას). ბატონი მიტროფანე ჩავიდა ქუთაისში და აქტიური პროპაგანდა დაიწყო დემოკრატიულად არამყარ რეგიონებში (განსაკუთრებით თბილისში) იმერლების ჩასასახლებლად. რაც მთავარია, ბატონი მიტროფანე ლალიძე არ იშურებდა ფულს და სხვა ნივთიერ დახმარებას ამ მიზნის მისაღწევად.

მე აქ მოკლედ აღვნიშნე ბატონ მიტროფანეს საქველმოქმედო საქმიანობა. იგი იყო ქართველი სახიქადულო მწერლების (განსაკუთრებით აკაკი წერეთლის) ნაწარმოებთა გამომცემელი და მათთვის მატერიალურად ხელის გამმართველი, მრავალი ქართული საზოგადოებრივი საქმის ხელშემწყობი და ხონხორი. ასე მაგალითად, 1904 წელს მისი თაოსნობით აშენდა პირველი ელექტროსადგური დასავლეთ საქართველოში, რომელმაც ქუთაისს მისცა ელექტროგანათება. ამ ისტორიული ფაქტით ხალხი დიდად კმაყოფილი დარჩა. ამის შესახებ 1904 წელს გაზეთი „ივერია" წერდა: „ბატონ მ.ლალიძის ქარხანამ კარგი საქმე გააკეთა, ჯერ იყო და ქუთაისის თეატრი გაანათა ელექტრონით და ახლა ქალაქის ქუჩებსაც ანათებს". ქუთაისში პირველად დამონტაჟებული ელექტროსადგურის სიმძლავრე თანდათანობით გაიზარდა და ჩვენ დროშიც კი, რიონჰესის ექსპლოატაციაში გაშვებამდე მთელი სიმძლავრით ემსახურებოდა ქუთაისსა და მის მრეწველობას. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქუთაისში პირველად ხელოვნური ყინულის კეთება დაიწყო ხილეული წყლების ქარხანაში (მანამდე ქუთაისის მოსახლეობა სარგებლობდა ზამთრის პერიოდში მომარაგებული თოვლით). მიტროფანე ლალიძე მუდამ ახლის ძიებაში იყო: — ასე, მაგალითად, მან საფუძველი ჩაუყარა სამთო და ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვან ობიექტს — ბარიტის მოპოვებას, რომელსაც იყენებდნენ საღებავების დასამზადებლად. მისი დამსახურებაა ისიც, რომ თბილისში აშენდა ნახშირმჟავა გაზის ქარხანა ახალი პროგრესირებული ტექნოლოგიით. მიტროფანე ლალიძის მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბატონი მიტროფანე ლალიძე დავით სარაჯიშვილის მსგავსად ბევრ შემთხვევაში თავის საქველმოქმედო საქმიანობას ანონიმურად ასრულებდა, რაც მისი მაღალკეთილშობილების დასტურია.



აქ არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ მოვიხსენიოთ ბატონ მიტროფანეს მეუღლე ქალბატონი ოლიმპიადა ანდრიას ასული ვახანია, რომელიც ყველა საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობაში მხარში ედგა ბატონ მიტროფანეს, გარდა ამისა ბატონმა მიტროფანემ და ქალბატონმა ოლიმპიადამ სამშობლოს აღუზარდეს ხუთი ღირსეული შვილი: თინათინი (იგი იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ცნობილი ტრავმატოლოგი, რომელიც მხარში ედგა მამას უალკოჰოლო სასმელების წარმოება-ხელმძღვანელობაში), თორნიკე და ჯუანშერი (რომლებმაც მოასწრეს საზღვარგარეთ გასვლა და ამით გადაურჩნენ რეპრესიებს. იქ მიიღეს უმაღლესი განათლება — პირველი ეკონომისტი იყო, მეორე კი ინჟინერი. გარდაიცვალნენ ემიგრაციაში), ვახტანგი (დააპატიმრეს 1937 წელს, მაგრამ, ბატონი მიტროფანეს დიდი ცდის შედეგად, გაათავისუფლეს 1941 წელს, ციმბირის დილეგებში ნაწამები, იმავე წელს გარდაიცვალა. ქალბატონმა ოლიმპიადამ ვერ გაუძლო დარდს და იგიც იმავე წელს მიჰყვა თავის გაუბედურებულ ვაჟიშვილს). ბატონ მიტროფანეს და ქალბატონ ოლიმპიადას ვაჟებიდან ყველაზე უმცროსი იყო ცნობილი ქართველი ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რამაზ ლალიძე. თვალსაჩინოა მისი სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა ნატიფი ორგანული სინთეზების დარგში, ხოლო მის მიერ პირველად მიღებულ, პოლიციკლურ ნახშირწყალბადებს, ამერიკელი მეცნიერების ინიციატივით ქიმიურ ლიტერატურაში „ლალიძის ნახშირწყალბადებს" უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ბატონმა რამაზმა ჯერ კიდევ 1958 წელს მოაწესრიგა სახელოვანი მამის მთელი რეცეპტურა და თავისი ვრცელი კომენტარებით გამოსცა მონოგრაფიად — „უალკოჰოლო სასმელების წარმოება". ინტერესმოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ თორნიკესა და ჯუანშერის ნათლია იყო აკაკი წერეთელი, ხოლო რამაზისა ცნობილი ქართველი მწიგნობარი და გამომცემელი სოსიკო მერკვილაძე. ბოლშევიკური ხელისუფლების დროს ბატონმა მიტროფანემ იწვნია რეპრესიები. 1924 წელს იგი მეტეხის ციხეშიც იჯდა. მაგრამ დახვრეტას გადაარჩინა იმ უდიდესმა პოპულარობამ, რაც საერთოდ ქართველ ხალხში და თვით ბოლშევიკ ფუნქციონერთა შორისაც ჰქონდა მას.

### 3. ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული სომხეთ-საქართველოს ომი და ბატონი მიტროფანე ლალიძე

ეს საკითხი ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რადგან მამაჩემს — ვლადიმერ ხვედელიძეს, 1915 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ექიმს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა სიმონ ჯაფარიძემ (რომლის მოადგილეც მამაჩემი გახლდათ), სომხეთის მიერ ჩვენთან ომის დაწყებისთანავე დაავალა (როგორც 1915-17 წლებში ფრონტზე ნამსახურებს) კურირება გაეწია სამხედრო-სამედიცინო დარგისთვის. როგორც მამაჩემი იგონებდა, სომხეთის მიერ სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე (1918 წლის 29 ნოემბრიდან) ბატონი მიტროფანე ლალიძე მაშინვე მხარში ამოგვიდგა და სახსრებს არ იშურებდა ფრონტისთვის საჭირო მედიკამენტებისა და სურსათის შესაძენად. გარდა ამისა, ბატონი მიტროფანეს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა „საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი", რომელსაც ბინა თავის მაღაზიასთან გოლოვინის პროსპექტზე, № 24-ში მიუჩინა (იხ. გაზეთი" სახალხო საქმე", 1918 წლის 26 დეკემბერი). ხსენებული კომიტეტი ბატონ მიტროფანეს თავკაცობით ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებდა ფრონტისთვის.

1918 წლის 29 ნოემბერს როდესაც სომხებმა ერთბაშად და მოულოდნელად დაიწყეს შეტევა თბილისის მიმართულებით, ნოე რამიშვილმა სასწრაფოდ გადაისროლა ფრონტზე სახალხო გვარდიის შენაერთები ვალიკო ჯუღელისა და ალექსანდრე მაისურაძის მეთაურობით. გარდა ამისა, ფრონტზე ზედიზედ მიემართებოდნენ ქართველი ახალგაზრდობისაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმებიც. მაშინდელი პრესა სავსეა ცნობებით ქართული შენაერთების გმირულ ბრძოლებზე. ომი სომხეთსა და საქართველოს შორის ინგლისელთა ჩარევის შედეგად საბოლოოდ შეწყდა 1918 წლის 31 დეკემბერს. სამწუხაროდ, ამ ომის დროს თბილისში მცხოვრები პრობოლშევიკური ორიენტაციის სომხები გადაუდგნენ საქართველოს მთავრობას, ხოლო ასევე პრობოლშევიკური ორიენტაციის სომეხთა ეროვნულმა საბჭომ კი აშკარად გამოაცხადა სომეხი ახალგაზრდობის მობილიზაცია ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის, რეაქცია სწრაფი და უკომპრომისო იყო (საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი დაუნდობელი იყო იგი საქართველოს მტრების მიმართ). მან ყველა არასაიმედო მოქალაქე გაასახლა თბილისიდან. გასახლებულ მოქალაქეთა კუთვნილ შენობებზე ნოე რამიშვილის მითითებით ქალაქის მერიამ გამოაცხადა საჯარო ვაჭრობა. მაშინდელი გოლოვინის გამზირის № 24 შენობის (რომელიც მანამდე ვინმე არაფელოვს ეკუთვნოდა, პირველი ორი სართული შეისყიდა მიტროფანე ლალიძემ, ხოლო მესამე სართული მისმა მეგობარმა ნიკოლოზ დობჟინსკიმ. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ შენობის პირველ სართულზე ჯერ კიდევ 1906 წელს ილია ჭავჭავაძის თანადგომით მიტროფანე ლალიძემ გახსნა უალკოჰოლო სასმელების თავისი ცნობილი მაღაზია. როგორც გვატყობინებს ილია ჭავჭავაძის თანამედროვე მწერალი და კრიტიკოსი — ილია ბახტაძე, ბატონმა მიტროფანემ აღნიშნულ მაღაზიაში თავისი ხილეული წყლების ფირმის ქართული წარწერა ზემოთ გააკეთა, ხოლო რუსული — ქვემოთ, მეფის მთავრობის მოხელეებმა მას ეს დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს და დაპატიმრება მოუმზადეს, მაგრამ იგი ილიამ გადაარჩინა. მიტროფანე ლალიძემ ახლად შეძენილი შენობის მეორე სართული უსასყიდლოდ დაუთმო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და პარტიული გაზეთების „ერთობისა" და „ბორბას" რედაქციებს. ეს სასიხარულო ამბავი გაზეთ „ერთობის" რედაქციამ უკვე 1918 წლის 27 დეკემბერს აცნობა თავის მრავალრიცხოვან მკითხველს, რომ „ერთობის" რედაქცია გადავიდაო ახალ ბინაზე — გოლოვინის პრ.№ 24-ში. იმავე ნომერში გაზეთი „ერთობა" იუწყებოდა, რომ „დღეს, საღამოს 6 საათზე შედგება სდპ ცენტრალური კომიტეტის სხდომა ახალ ბინაზე, გოლოვინის პრ.№ 24".აქ შეგვეძლო წერტილის დასმა, მაგრამ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის გერონტი ქიქოძის გამონათქვამს ნოე რამიშვილზე:

„ეს იყო გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი პიროვნება. ამავე დროს გულჩათხრობილი. იგი გაცინებული არავის გვინახავს, მაგრამ მასზე დაკისრებულ საქმეებს შესანიშნავად ართმევდა თავს. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ თუ 1918 წელს თბილისში ქართული მოსახლეობა ძლივს აღწევდა 17-18 პროცენტს, ნოე რამიშვილმა ამ ანაქრონიზმს ერთბაშად მოუღო ბოლო და თბილისში ქართული უმრავლესობის შექმნით იგი ჭეშმარიტად საქართველოს დედაქალაქად აქცია. ჩვენის მხრივ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქმეში მისი მარჯვენა ხელი იყო ბატონი მიტროფანე ლალიძე.

### 4. გადმოვინაცვლოთ დღევანდელობაში

დღეს კი რა ხდება: ბატონი მიტროფანე ლალიძის შვილიშვილებს თორნიკე და ჯუანშერ ლალიძეებს ედავებიან, რომ ცნობილი საფირმო მაღაზია გოლოვინის (ახლა რუსთაველის) გამზირზე № 24 სახლში ბატონ მიტროფანე ლალიძეს არ ეკუთვნოდაო (?!). იმ ფაქტის მოწმე, რომ ეს მაღაზია მიტროფანე ლალიძისა იყო, არა თუ მთელი თბილისი — მთელი საქართველოა. ბატონ მიტროფანე ლალიძეს თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებშიაც ჰქონდა მაღაზიები და საწარმოები, მაგრამ მათში მთავარი სწორედ ეს მაღაზია იყო. ამიტომაა, რომ „ზემელის" მსგავსად ამ ადგილს მთელმა საქართველომ „ლალიძის წყლები" უწოდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროსაც კი სხვა საწარმოებისგან განსხვავებით, „ლალიძის" სახელი შეუნარჩუნეს რუსთაველის გამზირზე მდებარე საფირმო მაღაზიას, რადგან მისი მნიშვნელობა იმჟამინდელ ხელმძღვანელობას კარგად მოეხსენებოდა.

დღევანდელ პრესაში (ოპოზიციურშიც და ოფიციოზშიც) ბევრჯერ იყო კრიტიკული გამოსვლები ე.წ. პრივატიზაციის არასწორი კურსის შესახებ. ამ შემთხვევაში კი, რაც არ უნდა შევარბილოთ გამოთქმა, შეუძლებელია მას თავისი ნამდვილი სახელი არ ვუწოდოთ. ამ აშკარა უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს და აქ გადამწყვეტი სიტყვა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიას და ქალაქის მერიას ეკუთვნით.

**გოლა ხვედელიძე,**

ნოე რამიშვილის ფონდისა და თბილისის ეკოლოგიური აღორძინებისა და ეკოლოგიური დაცვის ფონდის პრეზიდენტი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

---

თბილისის ისტორია

## „დაბერებულა" თბილისის ფუნიკულიორი? — იგი ხომ 90 წლისაა

ფუნიკულიორის საზეიმო გახსნაზე 1905 წლის იანვრიდან იუწყებოდნენ თბილისის გაზეთები. „ივერია" წერდა: „ტფილისის ფუნიკულერი თითქმის მზად არის, გამართულია სადგური, დალაგებულია რელსები და დაყენებულია სამოძრა-



ოდ მეტად კოპწია ვაგონები. ვაგონებს ავტომატური მანქანები აქვს, რომლის შემწეობითაც ყოველ წუთს შეიძლება ვაგონის გაჩერება, თუნდაც თოკი, რომელიც ვაგონს იჭერს, გაწყდეს კიდეც. ასე რომ, მოძრაობის დროს არავითარი შიში არ არის მოსალოდნელი".

და კიდევ ერთი ინფორმაცია:

„მამა დავითის მთაზედ ფუნიკულერის მოწყობის საქმე უკვე მთავრდება. ვაგონების გამოცდის შემდეგ მოწყობილობას დაათვალიერებს ტფ. გუბერნატორისგან დანიშნული განსაკუთრებული კომისია, ინჟინერთა, ელექტრო-ტეხნიკოსთა და ტფ.ფოსტა ტელეგრაფის ოლქის წარმომადგენლებისაგან შემდგარი. ფუნიკულერის მოქმედების დაწყება განზრახულია მარტის მეორე ნახევარში".

1905 წლის 27 მარტს ქალაქის შესანიშნავი ნაგებობა — ფუნიკულიორი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მას შემდეგ 90 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ამ ნაგებობას თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებაში არ დაუკარგავს თავისი ადგილი.

„დაგვიბერდა" იგი? არა! — გვჯერა, დღევანდელ მის პრობლემებს გადაწყვეტენ და მომავალში თბილისელებს კვლავ „ახალგაზრდულად" დახვდება.

ახლა კი გთავაზობთ ფოტოსურათებს, რომლებიც 90 წლის წინ არის გადაღებული — როცა ფუნიკულიორმა პირველად „დაამშვენა ჩვენი ქალაქი.

**ანდრე ცისკარაძე**



ფეხბურთი

# საქველმოქმედო ფონდი — «ევროფეხბურთი»

Eurofootball

საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილია, რომ წელს საქართველოში ვეტერან ფეხბურთელთა ბაზაზე დაფუძნდა და რეგისტრაციაში გატარდა საქველმოქმედო „ქართული ფეხბურთის განვითარებისა და აღორძინების საერთაშორისო ფონდი“ — „ევროფეხბურთი“. გაგაცნობთ ამ ფონდს და შევეცდებით, ამიერიდან მისი ემბლემის ქვეშ გავაშუქოთ ფონდის საქმიანობა.

ფონდის გენერალური დირექტორია არკადი გოდერძიშვილი, იურისტი — გიორგი მარტაშვილი, კომპიუტერული სექტორის ხელმძღვანელი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი უშანგი ჭურაძე.

ახლად დაარსებული ფონდის მიზანი ქართულ ფეხბურთთან თანადგომაა და მთელი მისი ძალისხმევა აქეთკენაა მიმართული. შვიდი წელია, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად ცხოვრობს და უსახსრობის გამო მრავალი პრობლემა მოუგვარებელი აქვს. საქართველოში ყოველთვის იყვნენ და არიან უნიჭიერესი ფეხბურთელები (მითუმეტეს ბავშვები), რომელთაც ხელის გამართვა ახლავე ჭირდებათ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ნიჭიერ ბავშვებს. არ შეიძლება, მშობლებმა უსახსრობის გამო ბავშვი ფეხბურთიდან გამოიყვანონ. ამიტომ სპეციალისტების მიერ შემჩნეულ პატარა ფეხბურთელების სპორტულ კარიერაზე ფონდი იზრუნებს, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებდეს საქართველოსა თუ ევროპის წამყვან კლუბებში.

ფონდის ხელმძღვანელების აზრით, დროა, საქართველოში იყოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ფინანსურ დახმარებას გაუწევს ქართულ კლუბებს, რადგან უსახსრობის გამო კარგი გუნდის დაშლა ქართული ფეხბურთისთვის ტრაგედიის ტოლფასია, რაც ხშირად ხდება.

საერთაშორისო გამოცდილების გარეშე ევროპის სტადიონებზე წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. ამისთვის კი საჭიროა მრავალ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და ასეთი ტურნირების შინ გამართვაც. ფონდი ამ პრობლემის მოგვარებაზეც იფიქრებს. გარდა ამისა, ვეტერან ფეხბურთელთა ცხოვრების პირობებიც, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. მათი დახმარება ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვისაც სტიმული იქნება. ვეტერანების გვერდით მრავალი ღვაწლმოსილი მუშაკია, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება ქართულ ფეხბურთს შეალიეს (იქნება ეს მწვრთნელი, მსაჯი, ჟურნალისტი თუ ექიმი). არც მათი დავიწყება შეიძლება. აი, მოკლედ იმ გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელება საქველმოქმედო ფონდმა მიზნად დაისახა, თუმცა მისი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ფეხბურთში ათასი წვრილმანი პრობლემა არსებობს. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. „ევროფეხბურთის“ მესვეურებს კარგად ესმით დასახული მიზნების სიძნელე, მაგრამ მათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის და საზოგადოების თანადგომის იმედი აქვთ.

**ზაზა ფარუაშვილი**

P.S. დაინტერესებულ პირთათვის — საქველმოქმედო ფონდის „ევროფეხბურთის“ ოფისი მდებარეობს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე № 16, მე-8 სართულზე. ტელ.: 37-95-08

## საფეხბურთო მოზაიკა

„ფეხბურთის მეფის“ პელეს უშუალო ინიციატივით, ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური საქველმოქმედო შეხვედრა ფეხბურთში, სადაც მსოფლიოს ნაკრები სამხრეთ ამერიკის ნაკრებს შეეპაექრა. შეხვედრა საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა და სამხრეთ ამერიკელთა გამარჯვებით — 5:1 დასრულდა. ბურთები გაიტანეს მექსიკელმა ემოსილიომ — 3, თითო-თითო დუნგამ და პავლიომ. მეტოქეებიდან პროტასოვმა. მის გარდა, მსოფლიოს ნაკრებში თამაშობდნენ — ლიტბარსკი, ჩერჩესოვი და სხვები. ამ საქველმოქმედო შეხვედრის მთელი შემოსავალი ბრაზილიის სპორტის მინისტრმა ედისონ არანტეს დოს-ნასიმენტომპელემ იაპონიის ქალაქ კობეს მიწისძვრისგან დაზარალებულ მოსახლეობას გადასცა.

* * *

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ არგენტინის ნაკრების ექს-კაპიტანს დიეგო მარადონას 15 თვიანი დისკვალიფიკაციის ვადა 28 სექტემბერს უთავდებოდა, მაგრამ უკანასკნელი მონაცემებით იგი 30 აგვისტოს ამოიწურა. მარადონა მხილებული იყო ეფედრინის გამოყენებაში, მსოფლიოს XV ჩემპიონატის მსვლელობის დროს. პირველ მატჩს დიეგო მარადონა თავის ახალ კლუბში „ბოკა ხუნიორსში“ კლაუდიო კანიჯასთან ერთად კორეის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. ამ მატჩის ჰონორარს, განაცხადა მან, გადასცემს კუბელ ხალხს. თავის საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ (იგი ვარაუდობს კარიერა 1997 წელს, 37 წლის ასაკში დაასრულოს.) მარადონას განზრახული აქვს დასახლდეს კუბაში, რადგან ამ ქვეყნის ლიდერი ფიდელ კასტრო მისი ახლო მეგობარია. თავისუფლების კუნძულზე პირველი ფეხბურთელი თავისი ოჯახით შეძლებს, მშვიდად იცხოვროს.

* * *

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა იურგენ კლინსმანმა, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ გამოდის, როგორც ცნობილია, 12 აგვისტოს „ჰამბურგთან“ გამართულ თავისი ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო. ექიმებმა განაცხადეს, რომ მის გამოჯანმრთელებას სულ ცოტა 1 თვე დაჭირდებოდა, მაგრამ კლინსმანი ძალიან მალე შეუდგა აქტიურ ვარჯიშს და სულ მცირე ხანში გ[illegible]მანიის ჩემპიონატის მატჩს ითამაშებს „მიუნხენ-1880“-ის წინააღმდეგ. ვარაუდობენ, რომ კლინსმანი 6 სექტემბერს ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩსაც ჩაატარებს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ.

* * *

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ინციდენტი, რომელიც ამ ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დროს ნიჟნი-ნოვგოროდში ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ მსვლელობისას მოხდა. ორივე მოასპარეზე გუნდი 5-5 მილიონი მანეთით დაჯარიმეს. ტრიბუნებზე უდისციპლინო საქციელისთვის სტადიონიც ამავე თანხით დაჯარიმდა.

* * *

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში ბრაზილიის „გრემიომ“ შინ 3:1 დაამარცხა კოლუმბიის „ატლეტიკო ნასიონალი“. მეორე ფინალური შეხვედრა კოლუმბიაში ჩატარდა და ფრედ — 1:1 დასრულდა. ბრაზილიის ქალაქ პორტო-ალეგრეს „გრემიომ“ მეორედ მოიპოვა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

**შალვა ჯაფარიძე**



ჭადრაკი

# დიდოსტატების მთელი «თანავარსკვლავედი»

დღეს კიშინიოვში იწყება მიმდინარე საჭადრაკო სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება — მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირი ქალთა შორის. მასში პრეტენდენტთა ასპარეზობის 7 საგზური გათამაშდება. ბრძოლაში საქართველოდან ჩაებმებიან ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ნინო ხურციძე, ნინო გურიელი, მაია ლომინეიშვილი, ნატო ეგგერაძე, მირანდა ხორავა, ნათია ჯანჯღავა და აგრეთვე ქეთევან კახიანი, რომელიც ახლა გერმანიის სახელით გამოდის. საინტერესოა, რომ საქართველოს შემდეგ ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს უკრაინას — 5. შედარებისთვის — რუსეთიდან და ჩინეთიდან ითამაშებს 4-4 ქალი, აშშ-დან კი — 3.

შეჯიბრება მიმდინარეობს შვეიცარული სისტემით, 13 ტურად. ეს დიდი და მომქანცველი ტურნირია, ამასთან, მეტად საპასუხისმგებლო და პრინციპული.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი მოჭადრაკეების ძირითად მეტოქეებად? ასეთი ძალიან ბევრია, ჩვენ შევეცდებით ზოგიერთზე გავამახვილოთ ყურადღება.

აშშ-ს 3 წარმომადგენლიდან—ლევიტინა, ახმილოვსკაია, ბელაკოვსკაია — სამივე ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაა ემიგრირებული. ორ მათგანს, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, მსოფლიო პირველობაზე მატჩიც აქვს ნათამაშები. როგორც ირინა ლევიტინა (დაბ.1954 წ. 8 ივნისს), ისე ელენა ახმილოვსკაია (დაბ.1957 წ.11 მარტს) დღემდე მიეკუთვნებიან მსოფლიოს წამყვანი დიდოსტატების ვიწრო წრეს. ისინი ძირითადად ვაჟთა ტურნირებში გამოდიან (ე.წ. შვეიცარული სისტემით რომ ტარდება), აღარ მონაწილეობენ საჭადრაკო ცხოვრებაში ისე აქტიურად, როგორც ადრე (ახლა ლევიტინა ბრიჯის გამოჩენილ მოთამაშედაც ითვლება). ასეა თუ ისე, ეს მრავალნაცადი დიდოსტატები მიჩნეული არიან პრეტენდენტთა ტურნირის საგზურების მოპოვების უდავო კანდიდატებად, იმ ასპარეზობისა, სადაც ადრე ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა.

საჭადრაკო სამყაროში დიდი სახელი აქვს შვედ პია კრამლინგს (დაბ.1963 წ. 23 აპრილს). ეს გახლავთ პროფესიონალი მოჭადრაკე, რომელიც თავის მეუღლესთან, ესპანელ დიდოსტატ ხუან ბელონთან ერთად ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობს და, ლევიტინასა თუ ახმილოვსკაიასგან განსხვავებით, უამრავ შეჯიბრებაში მონაწილეობს. ამან კრამლინგს ძალზე დაუხვეწა ტექნიკა, კარგი სადებიუტო რეპერტუარიც აქვს. აღვნიშნოთ ისიც, რომ კრამლინგმა ჩინებულად ითამაშა პრეტენდენტთა წინა ტურნირში, რომელიც ჟუჟა პოლგარისა და მაია ჩიბურდანიძის გამარჯვებით დამთავრდა.

უკრაინის 5 წარმომადგენელს შორის, წინასწარი მონაცემებით, შვიდეულში მოხვედრისთვის ბრძოლის შესაძლებლობები შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ალისა გალიამოვა-ივანჩუკს (დაბ.1972 წ.18 იანვარს). მას ახლა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა „რეიტინგ-ლისტში“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) მაღალი მეშვიდე ადგილი უჭირავს, რა თქმა უნდა, გალიამოვას შეჯიბრებაზე გაჰყვება მისი მეუღლე, თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი ვასილი ივანჩუკი, თეორიის შესანიშნავი მცოდნე.

იმ ოთხეულს შორის, რომელსაც კიშინიოვში რუსეთი მოავლენს, ამჟამად უდავოდ უძლიერესად არის მიჩნეული სვეტლანა მატვეევა (დაბ. 1969 წ. 4 ივლისს). მკითხველმა იცის, რომ იგი ადრე ყირგიზეთში ცხოვრობდა და, სრულიად ახალგაზრდა, სწორედ ამ რესპუბლიკის სახელით გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მას შემდეგ, რაც რუსეთში აღარ დარჩა რომელიმე ასე თუ ისე გამოჩენილი დიდოსტატი, მატვეევამ შეიცვალა მოქალაქეობა და ახლა მასზე რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია დიდ იმედებს ამყარებს.

საჭადრაკო სამყაროში ყოველთვის დიდი იყო იუგოსლავური სკოლის ავტორიტეტი. გავიხსენოთ, რომ მილუნკა ლაზარევიჩი 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა. ახლა კიშინიოვში ამ ქვეყნის სამი წარმომადგენელი ითამაშებს. მათგან ალისა მარიჩს (დაბ.1970 წ.10 იანვარს), რომელმაც ყურადღება მიიქცია 1990 წელს ბორჯომში ჩატარებულ პრეტენდენტთა ტურნირში, წარდგენა არ ჭირდება. საინტერესოა, რომ ნატაშა ბოიკოვიჩი (დაბ. 1971 წ. 3 სექტემბერს) არა მარტო მასზე ცოტა უფრო ახალგაზრდაა, არამედ უფრო მაღალი რეიტინგიც აქვს (იგი ამჟამად მსოფლიოში მეცხრეა, მარიჩი კი — მეთერთმეტე).

როცა უნგრულ ჭადრაკზეა ლაპარაკი, ჩვენ პირველ რიგში დებს — პოლგარებს ვგულისხმობთ. მათგან უმცროსი — იუდითი ქალთა შორის საერთოდ არ თამაშობს, უფროსი — ჟუჟა ახლა მსოფლიო პირველობის მატჩისთვის ემზადება, ხოლო შუათანამ, სოფიამ უარი განაცხადა კიშინიოვში გამოსვლაზე. უნგრეთის სახელს დაიცავს მათი თანაგუნდელი, ცნობილი დიდოსტატი ი[illegible]იკო მადლი (დაბ. 1969 წ. 5 ნოემბერს). მას ადრეც უცდია პრეტენდენტთა ტურნირში მოხვედრა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ძალზე საინტერესო იქნება ბულგარელ ანტუანეტა სტეფანოვას (დაბ. 1979 წ. 19 აპრილს) გამოსვლა. თქვენს ყურადღებას უდავოდ მიიქცევს მისი ასაკი. ამის მიუხედავად, ანტუანეტა უკვე რამდენიმე წელია, ფართოდ ცნობილი მოჭადრაკეა, უკანასკნელ „რეიტინგ-ლისტში“ უსწრებს ქეთევან არახამიას, ქეთევან კახიანს და მარგარიტა ვოისკას, რომელიც ადრე ბულგარეთის № 1 მოჭადრაკედ ითვლებოდა. ახლა სტეფანოვა პირველად ითამაშებს მსოფლიოს წამყვან დიდოსტატებთან. ვნახოთ, რას გახდება მათთან ეს ყოფილი „ვუნდერკინდი“.

ჩინურ ოთხეულს შორის კარგად იცნობენ პენგს (დაბ. 1968 წ. 8 მაისს) და ვანგს (დაბ. 1974 წ. 1 დეკემბერს), ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრებს, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებს. მათ უკვე აქვთ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის გამოცდილება. ამ ბოლო ხანებში დაწინაურდა კიდევ ორი ჩინელი მოჭადრაკე: ჯუ ჩენი (დაბ. 1976 წ. 16 მარტს) და ვან ლეი (დაბ. 1975 წ. 4 თებერვალს). ისე, რომ ეს ქვეყანა, რომელიც სულ უფრო იუმჯობესებს პოზიციებს საჭადრაკო სამყაროში, კიშინიოვში მეტად ძლიერი მოჭადრაკეებით იქნება წარმოდგენილი, რომელთაგან სამს (ვან ლეის გამოკლებით) დიდოსტატის წოდება აქვს.

ჯერ 1993 წლის საზონათაშორისო ტურნირში, შემდეგ კი შარშანდელ პრეტენდენტების ტურნირში კარგი შედეგები ჰქონდა მანამდე ნაკლებად ცნობილ კრისტინა ადელა ფოიშორს (დაბ. 1967 წ. 7 აპრილს). ახლა რუმინელი მოჭადრაკე კვლავ იწყებს ლაშქრობას პრეტენდენტის „კვერთხის“ მოსაპოვებლად.

ჩვენ ასე თუ ისე ცნობილ დიდოსტატებზე და საერთაშორისო ოსტატებზე ვილაპარაკეთ. მათ გარდა კიშინიოვში გამოვა ბევრი ახალგაზრდა, ქალიშვილებს შორის — ზოგი ევროპის, ზოგი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულითაც. ერთი სიტყვით, საზონათაშორისო ტურნირი მოიცავს თანამედროვე საჭადრაკო ელიტის მთელ სპექტრს სულ სამი დიდოსტატის: სიე ჯუნის, ჟუჟა პოლგარისა და მაია ჩიბურდანიძის გამოკლებით. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ბრძოლა გაიმართება კიშინიოვში, სადაც 48 მონაწილეა, საგზური კი — მხოლოდ 7. ვუსურვოთ ქართველ მოჭადრაკეებს ამ ჯებირის წარმატებით გადალახვა!

**გივი გამრეკელი**



კალათბურთი

# პრიზი მასპინძლებმა მოიპოვეს

7 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ქვეყნის ჩემპიონი „ვითა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ხვდება კაუნასის „ჟალგირისს“. ლიტვის ჩემპიონი სულ ახლახან სანკტ-პეტერბურგში, ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე ბელოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში გამოდიოდა. ამდენად ჩვენთვის საინტერესოა ლიტველთა მაჩვენებლები და შემადგენლობაც ამ ტურნირში. ნახევარფინალში სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკი“, სადაც წარსულში ალ.ბელოვი გამოდიოდა, სწორედ კაუნასის „ჟალგირისს“ შეხვდა. პირველი ტაიმი ნევისპირელებმა 49:45 მოიგეს. მეორე ნახევარიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და „სპარტაკი“ ფინალში გავიდა — 99:91. ლიტვის ჩემპიონი ამ მატჩში კურტინაიტისა და ამერიკელი ტრენერის გარეშე გამოდიოდა. მოსკოვის „სპარტაკში“ მოთამაშე ამერიკელ ტრენერს 3 თვე ხელფასი არ მისცეს, რის გამოც მან „ჟალგირისს“ მიაშურა და ალ.ბელოვის მემორიალზე „ჟალგირისის“ ღირსება დაიცვა. აი, სწორედ თავის ყოფილ სპარტაკელებთან თამაშის დროს ტონი ტერნერს ტუჩი დაუზიანეს. გაბრაზებულმა კალათბურთელმა მყისვე დატოვა დარბაზი და სამშობლოში გაფრინდა, თქვა ოდნავ შეუძლოდ მყოფმა რიმას კურტინაიტისმა. დარჩა „ჟალგირისი“ ამერიკელი ვარსკვლავის გარეშე, მაგრამ კაუნასში უკვე ჩამოვიდა 31 წლის ნორვეგიელი (მისი სიმაღლე 205 სანტიმეტრია) ცენტრალური თავდამსხმელი ბრინი. მაშ ასე, მეორე ნახევარფინალში მოსკოვის „დინამომ“ 100:74 (51:37) დაამარცხა ისრაელის „ჰაპოელი“ და ფინალში თვით [illegible]ევისპირელ კალათბურთელებს შეხვდა. დინამოელები 6 ქულით იგებდნენ მატჩს, მაგრამ შეხვედრის მიწურული ბრწყინვალედ ჩაატარეს „სპარტაკელებმა“, რომლებმაც ნევის ნაპირებზე დატოვეს თავისი სახელოვანი თანამემამულის სახელობის თასი (87:85), რომელიც მათ ალექსანდრე ბელოვის დედამ გადასცა. საქართველოდან ჩატანილი მთელი რიგი პრიზები ტელეკომენტატორმა ჯ.ხუხაშვილმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს, ჰაპოელში მოასპარეზე ბოსნიელ კალათბურთელს ნენადუ მარკოვიჩს გადასცა.

**შოთა ჯაფარიძე**

# ტესტი

## როგორი კოლეგა ხართ?

ჩვენი კეთილგანწყობა, გულწრფელობა, თავაზიანობა არა მხოლოდ გარშემომყოფთა სიმპათიებს განაპირობებს, არამედ დიდად უწყობს ხელს სამსახურში ჩვენს ირგვლივ კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნასაც. როგორი კოლეგა ხართ? მოწონებას იმსახურებთ, თქვენდამი გულგრილად არიან განწყობილები, თუ საერთოდ ვერ გიტანენ? ამის გასარკვევად, უპასუხეთ ჩვენი ტესტის 10 კითხვას. თითოეულ კითხვას ის პასუხი შეურჩიეთ, რომელიც უკეთ შეესაბამება თქვენს აზრს.




1. როგორ იქცეოდნენ თქვენი მშობლები იმ ადამიანებთან ურთიერთობისას, რომლებიც ასე თუ ისე ავტორიტეტებად მიაჩნდათ: ექიმები, მასწავლებლები, პედაგოგები.

ა) ენდობოდნენ მათ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ უკეთ იციან თავიანთი საქმე.

ბ) კრიტიკულად იყვნენ განწყობილები.

გ) დამოკიდებულება მათ მიმართ მათივე პერსონალური თვისებებიდან გამომდინარეობდა.

2. თანამშრომელი თქვენზე გაცილებით ნელა მუშაობს. მისი სამუშაოს შესრულება თქვენ გიწევთ. როგორ იღებთ ამას?

ა) გრძნობთ, რომ გიყენებენ (ექსპლუატაციას გიწევენ), ტემპს აგდებთ.

ბ) გესმით, რომ ყველა ერთნაირად ვერ მუშაობს და ეხმარებით.

გ) ცდილობთ გაიგოთ სამუშაო იმისთვის, რომ მიუხედავად ტემპის სხვაობისა, საქმე წინ წავიდეს.

3. ქვემოთ წარმოდგენილი სამი სიტუაციიდან აირჩიეთ ერთი, რომელიც ხელმძღვანელთან და კოლეგებთან თქვენს დამოკიდებულებას გამოხატავს.

4. თქვენს თანამშრომელს რაღაც პრობლემები აქვს, განუწყვეტლივ უშვებს შეცდომებს. როგორ იქცევით მასთან ურთიერთობისას?

ა) ფიქრობთ კერძო პრობლემები სახლში უნდა დატოვო და უგულისყუროდ ეპყრობით.

ბ) სთავაზობთ: მოდი, ცოტა შევისვენოთ; მომიყევი, რა გაწუხებს და თავს უკეთ იგრძნობ.

გ) დამიტოვე შენი სამუშაო, თუ დღეს ვერ ახერხებ შესრულებას, მე გავაკეთებ.



5. ნახატზე გამოსახული ადამიანები სამსახურში საუბრობენ. რას ეუბნება ქალი თავის კოლეგას?

ა) ამბობს, რომ არც ისე კარგად გრძნობს თავს, ძალიან სტკივა თავი.

ბ) შინაურულ უსიამოვნებებზე საუბრობს.

გ) თანამშრომლებს ხელმძღვანელთან უსიამოვნო საუბრის შესახებ უამბობს.

6. სამუშაო დღის განმავლობაში როგორ ისვენებთ?

ა) რამდენჯერმე მოკლე შესვენებას აკეთებთ.

ბ) შუადღის შესვენების დროს ოდნავ უფრო მეტ ხანს მოეშვებით.

გ) შეუსვენებლად მუშაობთ და ბუტერბროდს საქმის შეუწყვეტლად მიირთმევთ.

7. რაზე მეტყველებს ეს სცენა?

ა) თანამშრომლები ზურგით მდგომ კოლეგაზე საუბრობენ.

ბ) იმაზე საუბრობენ, რაც მას საერთოდ არ აინტერესებს.

გ) ეს ქალი აქ შემთხვევით აღმოჩნდა.

8. თქვენი ახლო ნაცნობი სამსახურში მნიშვნელოვნად დაწინაურდა. ყველაფერთან ერთად, მან მშვიდად და საქმიანად დაუმტკიცა დირექტორს თავისი უშუალო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა. როგორ აფასებთ მის მოქმედებას?

ა) სინდისის ქენჯნის გარეშე, წარმატებას სხვა ადამიანის ხარჯზე მიაღწია.

ბ) ამაში არაფერია ცუდი — სამსახურში მხოლოდ კომპეტენცია ფასდება.

გ) შეცდომა დაუშვა: შენიშვნები თავის უშუალო ხელმძვანელისთვის უნდა გამოეთქვა.

9. ბოლო სამი დღის მანძილზე რამდენად ხშირად გამოთქვით უსიამოვნო აზრი სხვებზე, მაგალითად: „ეს ისევ თუთიყუშივითაა ჩაცმული"?

ა) არც ერთხელ ან ერთხელ.

ბ) 2-4-ჯერ.

გ) შესაძლოა 5-ჯერ, ან მეტჯერ.

10. მეგობარს რაღაც ახალი აცვია, რაც არც ისე მოგწონთ, არადა მას თქვენი აზრი აინტერესებს. როგორ რეაგირებთ?

ა) არ გინდათ, რომ ხასიათი გაუფუჭოთ და ეუბნებით: „მართლაც კარგია".

ბ) „მე არ მომწონს, მაგრამ გემოვნების საქმეა".

გ) რადგან არც მისი წყენინება გსურთ და არც ტყუილის თქმა გინდათ, ამბობთ: „როცა მივეჩვევი, მაშინ გეტყვი".

ცხრილის მიხედვით დაითვალეთ ქულათა რაოდენობა:

| | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 1 | 3 |
| 2 | 1 | 3 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 3 |
| 4 | 1 | 2 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 1 | 3 | 2 |
| 7 | 1 | 3 | 2 |
| 8 | 1 | 3 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 1 |
| 10 | 1 | 2 | 3 |

პასუხი:

16-24 ქულა

თქვენ უპირატესად ხელმძღვანელს და კოლეგების უმრავლესობას, ალბათ, იმიტომ, რომ, ნერვული და დაძაბული სამუშაოს მიუხედავად, მშვენიერ განწყობას ინარჩუნებთ, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ხართ,რაც, ალბათ, დაძაბულობის განტვირთვის უნარს გაძლევთ. და მაინც, ცოტა ნაადრევად ხომ არ გამოგაქვთ განაჩენი? ხომ არ მალავთ იმას, რაც არ მოგწონთ? საბედნიეროდ, სულ ცოტა გაკლიათ, რომ ყველას უყვარდეთ.

10-15 ქულა

როდისმე გიკითხავთ საკუთარი თავისთვის, რომ, სოლიდური ცოდნისა და პროფესიული კვალიფიკაციის მიუხედავად, კოლეგების სიმპათიას მაინც არ იმსახურებთ? ძალიან ხშირად თქვენდამი არასასურველი განწყობის საფუძველი ხდება საკუთარ ღირსებებში დაურწმუნებლობა. კარგი კოლეგა რომ გახდეთ, საკუთარი თავის უნდა გწამდეთ, ღირსების გრძნობა აიმაღლოთ და მაშინ, თქვენი კოლეგების თქვენდამი დამოკიდებულებაც შეიცვლება.



## კროსვორდი



თარაზულად:

1. ზღაპრული ფრთოსანი გველი; 6. რკინის ქუდი; 7. სცენის განათების მოწყობილობა; 9. არაგვის ერისთავის სახელი, რომლის ახული ცოლად ჰყავდა გასაკაძეს; 11. პარაზიტული სოკოებით გამოწვეული ვაზის დაავადება; 15. ძალიან ნელა მდინარი წყალი;17. არსენა ოძელაშვილის მშობლიური სოფელი; 18. ცნობილი რუსი ფერმწერი; 19. მწვანილი; 20. კუთხის ან რკალის საზომი ერთეული; 22. მცენარეთა გვარი ჭვაროსანთა ოჯახისა; 24. ღვინის სასმისი; 28. სღებავი ნივთიერება, რომელსაც იყენებენ ქიმიურ ინდიკატორად; 29. სასარგებლო წიაღისეულის უწვრილესი ნაწილაკები; 30. აღმოსავლური სათამაშო; 31. სამართლისმცოდნე;

შვეულად: 1. რომაულ მითოლოგიაში, — ნადირობის მფარველი ქალღმერთი; 2. ფუტკრის მსგავსი მწერი; 3. სოფ.ხაშურის რაიონში; 4. ტყვია, ჰურვი... 5. ცხოველი; 8. ქართველი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი; 10. მამრობითი სასქესო ჯირკვლებიდან გამოყოფილი სითხის გამოკვლევით მიღებული მონაცემების ჩანაწერი; 12. დოკუმენტური კინოფილმი, რომელშიც ასახულია საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე მოვლენები; 13. ადგილი, სადაც ხდება ჩაწოლილი მთამადნეულის დამუშავება; 14. მცენარე, რომელსაც იყენებენ გულის დაავადებათა სამკურნალოდ; 16. დუღილით შესქელებული, გაწურული და მწვანილით შენელებული დო; 21. ღვთისმეტყველებაში: ძირითადი დებულება, რომელიც არ ექვემდებარება კრიტიკას; 23. ნავაჭრი, შემოსავალი; 25. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 26. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება; 27. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში.

შეადგინა **ბივი ბოჭორიშვილმა**

## ანეკდოტები

ექიმი ეუბნება პაციენტს:

— იცით, სასწრაფოდ უნდა გაიკეთოთ ოპერაცია.

— არავითარ შემთხვევაში! ოპერაციას სიკვდილი მირჩევნია.

— როგორც გენებოთ — ერთი მეორეს სულაც არ გამორიცხავს.

* * *

— ექიმო, მოვკვდები?

— რა თქმა უნდა!

— კი, მაგრამ, ექიმო. რა მჭირს?

— გაკვეთა გვიჩვენებს.

* * *

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს. ერთი ამბობს:

— ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ცოლი მებაღესთან მღალატობს.

— რატომ გგონია?

— გუშინ სახლში დავბრუნდი და ვხედავ, საწოლში ყვავილები აწყვია.

— მე კიდევ მგონია, რომ ჩემი ცოლი მონტიორთან მღალატობს.

— რატომ?

— რა ვიცი, გუშინ სახლში დავბრუნდი და ვხედავ, საწოლში... მონტიორია.

* * *

ექიმი პაციენტის რენდგენის სურათს უყურებს.

— რამდენი წლის ხართ?

— ორმოცის გავხდები...

— არ გახდები... არ გახდები...

* * *

დიდი იტალიელი კომპოზიტორი, ჯუზეპე ვერდი ერთ ახალგაზრდა, 18 წლის კომპოზიტორს შეხვდა. ახალგაზრდა მუსიკოსი სულ თავის თავზე და საკუთარ შემოქმედებაზე ლაპარაკობდა. ვერდიმ ერთხანს უსმინა მას და ბოლოს უთხრა:

— თვრამეტი წლის რომ ვიყავი, ჩემი თავი დიდ მუსიკოსად მიმაჩნდა და ვამბობდი: ,,მე". 25 წლის რომ გავხდი, ვამბობდი: ,,მე და მოცარტი". 40 წლის რომ შევსრულდი, უკვე ასე ვამბობდი: ,,მოცარტი და მე". ახლა კი ვამბობ: ,,მოცარტი".

* * *

— როდის დგება სიბერე?

— როცა შარდის ნახევარი ანალიზზე მიდის.

* * *

ორი და საუბრობს:

— გადავწყვიტე, 25 წლის სანამ არ გავხდები, არ გავთხოვდები, — თქვა უმცროსმა.

— მე კიდევ გადაწყვეტილი მაქვს, 25 წელს არც მივაღწიო, თუ არ გავთხოვდი, — ამოიოხრა უფროსმა.

* * *

— ექიმო! ბოლო დროს საშინელი სიზმრები მტანჯავს.

— მე კიდევ — საშინელი სინამდვილე.

* * *

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

— იცი, უკვე ხუთი წელია რაც იმპოტენტი ვარ.

— მე კიდევ მხოლოდ ერთი წელია, ტფუ, ტფუ, ტფუ.

* * *

იოგების საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა ამხანაგმა რაბინოვიჩმა, რომელიც 75 წელია სუნთქვაშეკრული ცხოვრობს.

* * *

ერთი საბჭოთა პროლეტარი ინდოეთში იმყოფებოდა ტურისტულ მოგზაურობაში და იოგებთან მიიწვიეს სტუმრად. როცა ყველა სუფრას შემოუსხდა, მაგიდაზე ერთი ბოთლი არაყი დადგეს, დაძაბულად უყურებდნენ ბოთლს და... თვრებოდნენ. ტურისტს ისე მოეწონა ეს მეთოდი, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე არაყი იყიდა, მაგიდაზე დადგა და ყურება დაუწყო. ცოტა ხანში უგრძნობლად დავარდა. შეშინებულმა ცოლმა ,,სასწრაფო დახმარებას" გამოუძახა. ექიმებმა სიკვდილი დააფიქსირეს. ცოლი სიკვდილის მიზეზით რომ დაინტერესდა, უთხრეს:

— როგორც ჩანს, ნერწყვმა დაახრჩო.

* * *

კაშპიროვსკი ამერიკაში მეორედ რომ ჩავიდა, მსმენელს მიმართა: ,,თქვენს შორის ვინმე ხომ არ დასწრებია ჩემს პირველ ლექციას?" დარბაზიდან გამხდარი, სუსტი აღნაგობის კაცი წამოდგა.

— მე ვიყავი.

— მოგვიყევით თქვენ თავზე, ვინ ბრძანდებით?

— შვარცნეგერი ვარ.

* * *

თუ შეიძლება ამიხსენით, რატომ ღირს ეს კუბო 30 მანეთი, ის კი — 60?

— იმაში გადატრიალება შეიძლება...

## ზეიმი

პოლიტ-ალებმიცემობამ,
არ შეგზაროს, არ იქნება,
ხალხის თვალწინ, ხალხის ხარჯზე
ადგილების დარიგება,
ტაში, ტუში, მტლაშა-მტლუში,
ერთმანეთის არი ქება,
დეპუტატობის შოვნისთვის
ალარაფრის დარიდება,
სამარცხვინო, საზიზღარი
საარჩევნო გარიგება
და ეს წესი უბილწესი
უფრო გასივ-გადიდდება,
თუ გაგრძელდა ძველებურად
შიშით გაჩუმ-გარინდება,
სანამ ბევრი ბრმა და ყრუა,
სანამ ის არ გაიგება,
რომ დასვრილი მასალისგან
სალოცავი არ იგება!

**რ. მიქაბერიძე**